საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 10 მარტი, 2012 წელი.

№47 (6924)

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგვარიც ბოკდეშური სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

აი, რის აშენებას გეგმავს თურქეთი აჭარაში

3



FORBES – არავინ არის უფრო დიდი, ვიდრე ბიძინა

5

ხელისუფლება ამდენ სიყალბეს არ უნდა კადრულობდეს!

4

ნოდარ ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ კოდუებს ჩამორთმეული ქონება უკან უბრუნდებათ

6-7

ასე ამგზიგდა სცალინი

SIC!

იერუსალიმის პატრიარქმა „ჯვრის მონასტერთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე არაფერი იცის“

იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილე მესამემ საქართველოსთვის ჯვრის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების შესახებ არაფერი იცის, — ამის შესახებ იერუსალიმის პატრიარქმა ისრაელის რუსულენოვან საინფორმაციო პორტალ „იზრუსს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განუცხადა.

მისი თქმით, წარმოდგენა არ აქვს, რაზე საუბრობენ „სააკაშვილი, კალანდაძე და რურუა“.

— ჩვენ ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს ისრაელის ხელისუფლებასთან. მათ არასოდეს მოუხდენიათ ზეწოლა ჩვენზე, მით უმეტეს — საკუთრებასთან დაკავშირებით. ისრაელის ხელისუფლებას არასოდეს უცდია, ჩვენი კუთვნილი მიწა ვინმესთვის გადაეცა. ეს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც დაგვიდასტურა. ქართული მხარის განცხადებებით ისინიც გაოცებული არიან, — აცხადებს თეოფილე მესამე.

მისივე თქმით, ჯვრის მონასტრის საკითხი არც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ისრაელში ვიზიტისას დასმულა, როდესაც საქართველოს პატრიარქი იერუსალიმში წმინდა მიწის მოსალოცად იმყოფებოდა.



როგორც თეოფილე მესამე აცხადებს, რამდენიმე დღის წინათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესაც შეხვდა, თუმცა, ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით არც ერთი სიტყვა არც ამ შეხვედრაზე თქმულა. იერუსალიმის პატრიარქი აღნიშნავს, რომ საკითხზე არც ისრაელში საქართველოს ელჩს არჩილ კეკელიას უსაუბრია.

— სააკაშვილის განცხადებამდე ჩვენ მოგვმართეს შუამავლების მეშვეობით ქართველმა ბიზნესმენებმა, რომლებმაც მონასტრის გამოსყიდვა შემოგვთავაზეს, თუმცა ეს შეუძლებელია. არასწორად ნუ გამიგებთ. როლი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ რეგიონსა და იერუსალიმში შეასრულა, უდიდესია. ქართველების მიერ დაარსებული ჯვრის მონასტერი განათლების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო. ეს ადგილი დაკავშირებულია დიდი შოთა რუსთაველის სახელთან და შეუძლებელია, ქართველი ერისთვის ძვირფასი არ იყოს. ბერძნულმა საპატრიარქომ მონასტერი 300 წლის წინათ მოიპოვა, მაშინ, როდესაც ის დაცემის პირას იყო. ჩვენ შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა ამ ადგილის სული და განგვევითარებინა იგი. იქ მდებარეობს უძველესი წიგნებისა და მანუსკრიპტების უდიდესი ბიბლიოთეკა, მუშაობს XIX საუკუნის ცნობილი სემინარია. რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლებას სურს, დაიბრუნოს მონასტერი, როგორც სიმბოლო მისი თანამონაწილეობისა წმინდა მიწაზე, რომელიც 16 საუკუნის წინათ დაიწყო, — აცხადებს იერუსალიმის პატრიარქი.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება თავადაც ვერ აცნობიერებს, რომ მესამე ძალის ხელში ინსტრუმენტად იქცა.

როგორც თეოფილე მესამე აღნიშნავს, ეს საპატრიარქოს, საქართველოსა და ისრაელს შორის კონფლიქტის გაღვივების პირველი მცდელობა არ არის.

— ეს მცდელობები ქართული მხარის დახმარებას არ ემსახურება. უბრალოდ, მოძებნილია მტკივნეული წერტილები, რომელთა საფუძველზეც წმინდა ქალაქში არსებული ბალანსისა და სიმშვიდის დარღვევა სურთ. გამოვიყენებ მთელს ძალისხმევას იმისთვის, რომ არავითარი სკანდალი არ მოხდეს და ჩვენი ეკლესიის ურთიერთობას დიდ ქართველ ხალხთან ჩრდილი არ მიადგეს, — აღნიშნავს თეოფილე მესამე.

მისივე თქმით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან მიწვევა მიიღო და უახლოეს მომავალში საქართველოსაც ეწვევა, თუმცა ზუსტ თარიღს ჯერ ვერ ასახელებს.

◎ განცხადება

ცვლილებები პრაქტიკულად აუქმებს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ ეხმაურება საქართველოს მთავრობის ინიციატივას, სამი სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის, აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ჩატარების გაცხადებული სურვილისა და შესაბამისი დადგენილების გამოცემის შესახებ.

კერძოდ, ჩვენს ყურადღებას იქცევს დადგენილების მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცემა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების ძონეების განკარგვის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყველა ის მომდევნო ნაბიჯი, რომელიც შემდგომში რეფორმების სახელით შეიძლება მოჰყვეს საქართველოს მთავრობის აღნიშნულ ინიციატივას, ჯერ კიდევ არ არის დეკლარირებული, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მზადდება ძალაძის ცენტრალურ ნაწილში აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების ისტორიული და კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობების გაყიდვა. ამ ეჭვს აძლიერებს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობას უკვე გამოუჩნდა მყიდველი და უმოკლეს დროში მოხდება მისი გასხვისება.

ჯერ კიდევ 2011 წლის აპრილში, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც უკლებლივ ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახდეს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი, ამასთანავე, უმაღლესი სასწავლებლის ძონეების განკარგვის უფლებამოსილება ფაქტობრივად გადაეცემა ახალ სტრუქტურას - მთავრობის მიერ დანიშნულ რეგენტთა საბჭოს და ამ საბჭოს მიერ დანიშნულ სასწავლებლის განვითარების ფონდის დირექტორს.

ეს ცვლილებები პრაქტიკულად აუქმებს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიას და მთლიანად ხელისუფლების ნება-სურვილზე დამოკიდებულს ხდის მათი ძონეების განკარგვას.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სამი სასწავლებლის შენობათა გაყიდვის შესახებ ინფორმაცია არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი, რასაც მოგვიანებით მოჰყვება სხვა უნივერსიტეტებისა და სასწავლებლების გასხვისება.

„ქართული ოცნება“, გამოხატავს რა საზოგადოების უმეტესი ნაწილის შეშფოთებას, მოითხოვს, რათა საზოგადოება არა მარტო ჯეროვნად იყოს ინფორმირებული ზემოთ ნახსენები სამი უმაღლესი სასწავლებლის შემდგომი გედის თაობაზე, არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს მხოლოდ საჯარო განხილვისა და ყველა დაინტერესებული მხარის პოზიციის გაცნობისა და შეჯერების შემდეგ. გარდა ამისა, მსგავსი პროგლემები რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტისგან ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების გაუქმება და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურობის გარანტიების შემუშავება.

საზოგადოებრივი მოძრაობა
„ქართული ოცნება“

ხელისუფლება ვალდებულია, მკაფიო პასუხი გასცეს ყველა კითხვას და გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი

სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებელთა რეორგანიზაციის შესახებ

მიუხედავად ხელისუფლების მიერ განხორციელებული არაერთი წარუმატებელი რეფორმისა, დღემდე შემორჩა განათლების კერები, სადაც მოღვაწეობენ ისეთი კლასის პროფესიონალები, რომლებიც ზრდიან საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ სპეციალისტებს. კონსერვატორიის, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი და სამხატვრო აკადემია ამისი ნათელი მაგალითია.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასახელებულ

უმაღლეს სასწავლებლებში ყველაფერი რიგზეა. გარკვეული კორექტივებია შესატანი სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში, პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში და სხვ. ეს ნებისმიერი სასწავლებლის ყოველდღიური ცხოვრებისა და მუშაობის თანამდევი აუცილებელი, ჰერმანენტული პროცესია. მაგრამ ნუთუ შეიძლება იმისი წარმოდგენა, რომ ეს პროცესი არ იყოს გამჭვირვალე, უმაღლეს სასწავლებლებში გასატარებელი რეფორმების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები იგებმეგოდეს იქ მომუშავე სპეციალისტების გვერდის ავლით, რომელიღაც სახელმწიფო უწყების კულუარებში? წარმოუდგენელია, ასეთი რამ მოხდეს არათუ დემოკრატიულ ქვეყანაში, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც, უბრალოდ, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული, განათლებასთან რამდენადმე მაინც ახლოს მყოფი მმართველობა ჰყავს.

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პემიერ-მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვით, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს შეეცვალათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და 20 მარტამდე უნდა მოხდეს მათი რეორგანიზაცია არასამეწარმეო (არაკომერციულიძ იურიდიულ პირად. კულტურის მინისტრის განმარტებით, ეს გაკეთდა სასწავლო პროცესის სრულყოფის, რეფორმების დაჩქარებისა და ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით.

რა კავშირშია სტატუსის შეცვლა დასახელებული ამოცანების გადაწყვეტასთან? ვინ უშლის ხელისუფლებას, დაეხმაროს რომელიმე სახელმწიფო უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და გადაიარალებაში? ანდა ვინ თქვა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციაში გასატარებელი რეფორმების ტემპი მაინცდამაინც ამ სტატუსზეა დამოკიდებული? რა იმალება ამის უკან? რატომ მოხდა ამ დადგენილების მიღება ასე ფორსირებულად (შუა სასწავლო პროცესშიძ, გაუმჭვირვალედ, იმ ადამიანებისაგან დამალულად, რომლებსაც უშუალოდ ეხება ეს ცვლილებები? რატომ უძლოდა მთელ ამ პროცესს კულტურის მინისტრის დაჟინებული, თუმცა უშედეგო, მცდელობები ორ უმაღლეს სასწავლებელში საბჭოების იგნორირებით არაშესაფერისი, საზოგადოებისათვის უცნობი, თუმცა მინისტრისათვის სანდო კანდიდატურების „არჩევისა“? ხელს შეუწყობს თუ არა ეს ე. წ. „რეორგანიზაცია“ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას? ჩართულნი იქნებიან თუ არა „რეორგანიზაციაში“ თვითონ სასწავლებელთა პროფესურა და სტუდენტები? რამდენად იქნება დაცული სასწავლებლების ქონება, მათ შორის, შენობა-ნაგებობები და ა. შ.

საზოგადოებას აქვს უფლება, გარკვევით იცოდეს პრემიერ-მინისტრის ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ხოლო ხელისუფლება ვალდებულია, მკაფიო პასუხი გასცეს ყველა კითხვას და გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, საკითხი იქცეს ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირების ახალ კერად მისგან გამომდინარე შედეგებით.

„ქართული აკადემია“ მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის აღნიშნული დადგენილება ლახავს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებელთა პროფესურისა და სტუდენტობის უფლებებს, იგი პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების მიერ სასწავლო-საგანმანათლებლო და სახელოვნებო სივრცის სრული მონოპოლიზაციის პროცესს და წარმოადგენს ქართული კულტურისათვის მიყენებულ მორიგ დარტყმას.

„ქართული აკადემია“
8.III.2012.

◎ ჭირი დანახული ჯობს

თავდგირიძე იგივე თავხელიძეა... ოღონდ შენიღბული

ბოლო დროს ბევრის დანახვა ტელეეკრანზე უკვე აუტანელი გახდა... როგორც აწ უკვე ცნობილი, სამარცხვინოდ ცნობილი, ვინმე ნაყიდი მიხეილ თავხელიძისა და ასევე ვინმე ნაყიდიანი ზურაბ ჯაფარიძისა, რომელთაც ტოლს არ უდებს ასევე სამარცხვინოდ ტელეცნობილი, უფრო მეტად „კავკასიის“ წყალობით, ყოფილი სამხედრო აკადემიის რექტორი, ახლა ეგრეთ წოდებული სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე, რომელიც სულ სხვანაირად „ჭიკ-ჭიკებდა“ აკადემიის რექტორობიდან „ახალმოსნილობის“ ჟაბს და სულ სხვაგვარ ტაქტიკა-სტრატეგიას ავითარებს დღეს... როგორც ჩანს, გულმა კვლავ თანამდებობისკენ გაუწია და აკადემიის რექტორობას თუ აღარ, იქნებ რასმე საკეთილდღეოს გამოჰკრას ჩახმახის გამოკვრას მიჩვეული ოძროსბეჭდიანი თითით.

ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ამ ვითომ სამხედრო ექსპერტმა... ჩემზე და არა მარტო პირადად ჩემზე... იმ საღამოს, 8 მარტს, აძუს ის პეტრე მამრაძესთან ერთად ჰყავდა, ალგათ, უკვე მეუთვალავჯერ მიწვეული...

პეტრე მამრაძეს ჩემი დახასიათება არ სჭირდება, ბოლო ორი ათეული წელიწადი ხან ერთი მთავრობის უღელშია შეგმული, ხან მეორის. მაგრამ ბევრი აშკარად ოჩანი მოხელისგან განსხვავებით, ნამდვილად გამწევი მოხელეა. თუმცა გამწეობა იქით იყოს, მან აგერ სულ ახლახან, ჩემი აზრით, მართლაც საოცრად უტყუარი წიგნი გამოსცა 2008 წლის აგვისტოს ომზე („აგსურდული ომი, რომელიც არ უნდა მომხდარიყო“... მეგონა, რომ ის „კავკასიური“ საღამოც ძირითადად ამ წიგნის ირგვლივ საუბრით წარიმართებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არც აძუ და არც ჩვენი ნარეტორალი ამისთვის მზად არ იყვნენ და ამიტომ თავდგირიძის საუბარში იმდენი წყალი ჩქეფდა, ერთ კარგა მოზრდილ წისქვილს რომ ეყოფოდა ასამუშავებლად... ოღონდ, როგორც „სამხედრო პირი“, თავდგირიძე სულ იმის თეორიულ ცდაში იყო, უბრალო წყალი სტრატეგიულ „მძიმე წყლად“ ექცია... რაც, თავისდა სამწუხაროდ, არ გამოუვიდა და, ზემოხსენებული თავხელიძისა და ჯაფარიძისა არ იყოს, დაძირავებულ სოსო ცინცაძეზე, ნიკა ჩიტაძესა და ვასილ ჭყოიძეზე აღარაფერს ვამბობ, ამჟამინდელი ხელისუფლების ხელფასიან დამცველ-პროპაგანდისტად წარმოჩინდა... თუმცა, თავისი აშკარად მოკლე ჭკუით, ბევრად უფრო ეშმაკურად...

ამ „ჩამოლაბორანტებული“ რექტორისთვის თურმე სულერთი არ ყოფილა საქართველოს სათავეში ვინ იქნება, მთავარია ის ტენდენცია, რომ სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, ძლიერდება როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც ამჟამინდელი ხელისუფლების დამსახურებაა... მერე რა, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა, ჩვენ ამან არ უნდა შეგვაკრთოს, აგვისტოს ომმა დაგვანახა, რომ ასეთი დიდი ქვეყნის დამარცხებაც შეიძლება, როგორიც სუსტი რუსეთია... მთავარია, ჩვენ ვიყოთ ძლიერები...

ქართველი პოლიტიკოსები ძირითადად ემოციურები ყოფილან და მწარე სიმართლის თქმას ერიდებიან. აი, მაგალითად, თურმე დღემდე თავს ვარიდებთ იმის თქმას, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ სტალინი ისე იქცეოდა, ისეთ პოლიტიკას ახორციელებდა, ჰიტლერი იძულებული გამხდარა, პრევენციული ლონისძიებები განეხორციელებინა, რასაც, გუნებრივია, ომი მოჰყვა... ჩვენ კი, თურმე ვაიპატრიოტულ ემოციებს აყოლილნი, სულ სხვანაირ სურათს ვხატავთ...

ერთი სიტყვით, რა გინდათ, რას ერჩით ამ სააკაშვილს, რომელსაც, სიდიდისდა მიუხედავად, რუსეთი სულაც არ აშინებსო. და კიდევ ბევრი რამ ანგარიშიანად გამიზნული თქვა ამ ჩვენმა ევროპულად თუ ამერიკულად წვერდაყენებულმა ნარეტორალმა (რისთვისაც პეტრე დიდი, პეტრე მამრაძისგან განსხვავებით, კარგა გვარიან ბაჟს გადაახდევინებდაძ ჩვენს ოპოზიციონერთა ფუჭ ემოციურობაზე, რაც უწინარესად სწორედ პეტრე მამრაძისა და მისთანათა მისამართით იყო თქმული, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, შენიღბვის მიზნით სამხედრო ლაბადა-კარავში თავშეფარებული ბერტყავდა ცარიელ გუდას... და თავისივე თავის საწინააღმდეგოდ არცთუ უემოციოდ უსმენდა პეტრე მამრაძის ბევრად უფრო საქმიან და დასაბუთებულ საუბარს.

არ ვიცი, ვერ ვიმარჩიელებ, ნაციონალებისთვის, კერძოდ, ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის თავის მოწონების თვალსაზრისით მიზანს მიაღწევს თუ არა თავდგირიძე და რამეს გამოჰკრავს თუ არა ხელს, მაგრამ მაყურებელთაგან ბევრს, ალბათ, ეკრანზე თავისი კიდევ ერთხელ ნახვის სურვილი რომ დაუკარგა, ცხადზე ცხადია.

ბოდიშს კი ვიხდი, თუმცა მაინც უნდა ვთქვა, ამ ხნის კაცმა ვირეშმაკობა აღარ უნდა იკადროს... საკაკაშვილს იმდენი შავის თეთრად მომჩვენებელი და ყურთმასიამოვნებელი ჰყავს, იმ ლაშქარში თავდგირიძის ადგილი, მგონი, არ უნდა იყოს.

ერთმა მეგობარმა კაცმა, რომელთანაც ერთად შევრჩი იმ საღამოს ეკრანს, ზუსტად თქვა: ეს თავდგირიძეც იმ ადამიანთა სათვალავიდან არის, ვისაც დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ურჩევნიაო...

თუმცა მეორე სათვალავის ადამიანებიც არიან, რომელთაც ხვალის ლოდინი არ სჭირდებათ, რადგან კვერცხიც დღესვე გლომადა აქვთ და არც ქათამი აკლიათ, ჩვენ კი, ხალხს, ჩვეულებისამებრ, ყველაფერს ხვალისთვის გვპირდებიან, როგორც გუშინ დღეისთვის გვპირდებოდნენ...

არადა ცრუ დაპირებებისა და ამაო ლოდინის დრო უკვე საბოლოოდ ამოწურულია.

ახლა ოცნების, ქართული ოცნების, ხორცშესხმის დრო დგება, რაც უწინარესად როგორც მოკლე, ისე გრძელფეხება ტყუილზე სიმართლის გამარჯვებას ნიშნავს... ახლა მთავარზე უმთავრესია, რომ არც ერთმა თავისი თავის პატივისმცემელმა ადამიანმა თავი აღარავის არ მოატყუებინოს... მით უმეტეს, თავხელიძეებსა და თავდგირიძეებს...

გურამ წიკლაური

◎ აღდგენისა და აღორძინების გზით

აღმოსავლეთ იაპონიის დიდი მიწისძვრის წლისთავი

ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შარშან, 11 მარტს დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა იაპონიის აღმოსავლეთში. მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ლოცვით მოვიხსენიო დაღუპულთა სულები და ამავდროულად დიდი მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს ჩვენს მიმართ მძიმე დღეებში გამოჩენილი დიდი მხარდაჭერისათვის.

დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ქართველმა ხალხმა სხვადასხვა სახის მხარდაჭერასთან ერთად თბილი სიტყვებით გაგვამხნევეს. საქართველოს მთავრობის მიერ დაზარალებულთა დასახმარებლად გამოყოფილი 1.000.000 აშშ დოლარი მიზანმიმართულად არის გამოყენებული. თბილისში, იაპონიის საელჩოში 1000-მდე კაცმა მოგვისამძიმრა და გარდა ამისა, არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა. ეს ყველაფერი ჩვენთვის დიდად გამამხნევებელი იყო.

იაპონიამ, რომელმაც საქართველოსთან ერთად თბილი მხარდაჭერა მიიღო მთელი მსოფლიოსაგან, მძლავრი ნაბიჯები გადადგა აღდგენისა და აღორძინების გზაზე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებული რეგიონების ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა ნელ-ნელა უმჯობესდება. ხოლო ცხოვრება ტოკიოსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში კვლავ მიწისძვრამდელ რიტმს უბრუნდება.

მთლიანად აღდგენილია წარმოება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ იაპონიაში აღარ არსებობს ხელშემშლელი პირობები ბიზნესმენთათვის, უცხოელ სტუდენტთა თუ მოგზაურთათვის.

წელს ჩვენ აღვნიშნავთ იაპონიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მე-20 წლისთავს. ამ თარიღის აღსანიშნავად იაპონიის საელჩო სხვადასხვა ღონისძიებას აწყობს „იაპონიის გაზაფხულის“ – იაპონური კულტურის ერთთვიურის ფარგლებში. ზუსტად წლისთავის დღეს, 11 მარტს თბილისის ისტორიის მუზეუმში („ძარვასლაში“) გაიხსნება დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ბავშვთა ნახატების გამოფენა, რომელიც 18 მარტამდე გაგრძელდება. გარდა ამისა, 23-25 მარტს კინოთეატრ „რუსთაველში“ ჩატარდება იაპონური კინოს ფესტივალი. ეს ღონისძიებები თვალნათლივ ადასტურებს, რომ იაპონია წარმატებით უკმლავდება კატასტროფის შედეგებს.

მიწისძვრის გამო ჩვენმა ქვეყანამ დიდი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ამავდროულად ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ როგორ შეუძლიათ იაპონელებს და იაპონურ საზოგადოებას განსაცდელის გადატანა და რაოდენ მნიშვნელოვანია მჭიდრო მეგობრული კავშირები საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

იმისათვის, რომ ეს სიძნელეები ახალ შესაძლებლობებად გარდავქმნათ, ღირსეულად ვუპასუხოთ საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩვენს მიმართ გამოჩენილ მხურვალე მხარდაჭერას და მსოფლიოში გაზრდილი ჩართულობის გზით ავამაღლოთ მოსახლეობის უსაფრთხოება, ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ საერთაშორისო თანამშრომლობას განვითარების ოფიციალური მხარდაჭერის (ODA – Official development assistanced პროგრამების მეშვეობით. ამასთან, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლით, კატასტროფების თავიდან აცილებით, მაღალი დონის ეკონომიკური პარტნიორობით ჩვენ გაერთიანებული ძალებით უნდა მოვაგვაროთ ყველა საკითხი ჩვენი ქვეყნის აღსადგენად და მთელ მსოფლიოს პრობლემების დაძლევის მაგალითი და ახალი მოდელი მივცეთ.

მასაიოში კამოჰარა,
იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

◎ არა – აზიზის მეჩეთს!

აი, რის აშენებას გეგმავს თურქეთი აჭარაში

ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება აქვს ექსკლუზიურად გაეცნოს ბათუმში დაგეგმილი სულთან აზიზის სახელობის ჯამის კომპიუტერულ პროექტს, ეს არის მაკეტი, რომელიც სულ მალე შეიძლება რეალობად იქცეს... მეჩეთის შენობა იმდენად გრანდიოზულია, რომ მას ბათუმში ძალიან დიდი ფართობი დასჭირდება და აშენების შემთხვევაში, რამდენიმე მილიარდი დაჯდება.

წარმოდგენილი მაკეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს არა ერთი კონკრეტული ჯამე, არამედ მთელი სამლოცველო კომპლექსია, რაც თვით მუსლიმანურ ქვეყნებშიც კი იშვიათად გვხვდება. გვინდა აქვე დავადასტუროთ ჩვენი პატივისცემა ყველა აღმსარებლობისადმი, მაგრამ იმთავითვე ვთქვათ, ამის სურვილი თვით მრევლიდან უნდა მოდიოდეს და არა სახელმწიფო ხელისუფლებიდან. ვერ გეტყვით, ვის მოუვიდა თავში ჩვენს ქალაქში მსგავსი კომპლექსის აშენების აუცილებლობა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, როგორც ჩანს, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება არაფერს ზოგავს ქრისტიანულ ქვეყნებში საკუთარი იდეოლოგიის გასატარებლად... კარგად დააკვირდით წარმოდგენილ მაკეტს და დაასკვნით, მკითხველნო, ღირს თუ არა უცხო ქვეყანაში ჩვენთვის ფაქტობრივად არარსებული ოფის აღდგენის სანაცვლოდ საკუთარ მიწაზე ამხელა მსხვერპლის გაღება?

„აჭარა P.S.“

P.S. ფოტოსურათი, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ჩვენი ინფორმაციით არც ერთ ბეჭდვით გამოცემას არ დაუბეჭდავს, იგი ფართო საზოგადოებამ გაზეთ "აჭარა P.S."-ის 6 მარტის ნომერში იხილა და მხოლოდ ამის შემდეგ აიტვირთა ჩვენს ვებგვერდზე. ჩვენ ეს მასალა მოვიპოვეთ თურქეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველი არქიტექტორის – ოთარ ნადირაძის პირად არქივში. თუ კი ვინმეს ამ კუთხით რაიმე პრეტენზია გააჩნია, გვიჩვენონ რომელიმე ბეჭდვითი ორგანო, სადაც ის დაიბეჭდა. ჩვენ საიტზე ვათავსებთ მხოლოდ იმ მასალებს, რომლებსაც ჯერ ჩვენს გამოცემებში ვბეჭდავთ.

http://adjaraps.com

წინააღმდეგობის მოძრაობა საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, ცეცხლს ნუ ეთამაშება!

მაშინ, როდესაც საქართველოს საპატრიარქო და ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი აღშფოთებულია ბათუმში აზიზის მეჩეთის აშენების გეგმის გამო, საქართველოს კულტურის სამინისტრო ცეცხლზე ნავთს ასხამს და აცხადებს, რომ აზიზის მეჩეთი აშენდება.

ბათუმში 4 მარტს გენერალ მაზნიაშვილის მეგრძოლების საფლავზე აღვლენილი საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, მეუფე დიმიტრიმ ქადაგებით მიმართა მრევლს.

და აი, ამ დღის შემდეგ ძალიან მალე კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო თურქეთთან აზიზის მეჩეთის მშენებლობის გამო ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. ეს განცხადება ნიკოლოზ რურუამ მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, ეს საკითხი ოფის ფიზიკურად „გადარჩენაზეა მიგმული“.

მისი განმარტებით, აზიზის მეჩეთი აშენდება იქ, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება გადაწყვეტს.

„ოფის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია და მისი დანგრევის პასუხისმგებლობას, გუნებრივია, ვერ გავიქცევით. ის გადასარჩენია. ამის სანაცვლოდ თურქული მხარე საქართველოს ტერიტორიაზე ძალიან მცირე მეჩეთის აშენების უფლებას ითხოვს იქ, სადაც მას ადგილობრივი ხელისუფლება მიუთითებს. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი გადასადგმელია და ჩვენ ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ“, – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ასე რომ, კაცი გჭოგდა, ღმერთი იცინოდაო: გინდ ილაპარაკე, გინდ – არა...ხელისუფლება მაინც რასაც უნდა, იმას აკეთებს.

„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერმა სოსო მანჯავიძემ კულტურის მინისტრის ნიკა რურუას თურქეთში მეჩეთის აშენების დადებით გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადება გააკრცელა.

„ოფის აღდგენის საკითხი არ შეიძლება მიგმული იყოს ბათუმში აზიზის სახელობის მეჩეთის აშენებასთან. თურქეთის სახელმწიფო ასეთ მოთხოვნას ქართულ მხარეს ვერ დაუყენებდა, ვინაიდან თურქული სახელმწიფოს იდეოლოგია განიხილავს თურქეთს მის ტერიტორიაზე ოდესმე არსებულ ყველა ცივილიზაციის კულტურული ძეგლების მემკვიდრედ და მეპატრონედ და ასეთი ნაცვალგების დაშვება თურქეთისთვის იმის ალიარების ტოლფასი იქნებოდა, რომ იგი ცნობს ტაოკლარჯეთს დაპყრობილად, ხოლო მასზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას –საქართველოს საკუთრებად.

რურუა თავის განცხადებაში ამბობს, რომ მეჩეთის აშენების ადგილს წყვეტს საქართველოს ხელისუფლება, რითაც კიდევ უფრო ამძიმებს მის პასუხისმგებლობას. ისმის კითხვა: რატომ აირჩია საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ნებით საქართველოს დამპყრობლისა და გამანადგურებლის – სულთან აბდულ-აზიზის სახელობის მეჩეთის აშენება ბათუმის ცენტრში, თანაც ზუსტად იქ, სადაც აჭარის თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი იუნკერები არიან დაკრძალულნი.

რურუას პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო მძიმდება. გასაოცარია ამ ადამიანების მსჯელობაში ლოგიკის სრული არარსებობა. ეს მათ დაძვეითებულ გონებრივ შესაძლებლობებზე და ქართული ეროვნული ინტერესების უგულებელყოფაზე მიუთითებს.

მეჩეთის აშენების საპირისპიროდ 31 მარტს ბათუმში საპროტესტო აქციაა დაგეგმილი.

თამარ შაიშმელაშვილი

ხელისუფლება ამდენ სიყალბეს არ უნდა კადრულობდეს!

ნოდარ ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ კოდუებს ჩამორთმეული ქონება უკან უბრუნდებათ

***კომპანიების** სია, რომლებსაც „ქართუ ბანკიდან“ სესხი ჰქონდათ აღებული და უცებ ბიუჯეტის ვალი აღმოაჩნდათ, იზრდება. ამ კომპანიებს ბანკში გირაოს სახით ჩადებულ ქონებას ართმევენ და ყიდიან. შარშან ოქტომბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, გამყიდველი სახელმწიფოა, მყიდველი კი, როგორც აღმოჩნდა, ის ვისაც ეს ქონება ჩამოართვეს. ეს აქცია მხოლოდ „ქართუ ბანკს“ ეხება. სხვა ბანკების კლიენტებს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალი არა აქვთ, ყოველ შემთხვევაში, ქონება სხვისთვის არავისთვის ჩამოურთმევიათ. დეკემბრის ბოლოდან მოყოლებული უკვე ჩატარდა დაახლოებით ასამდე აუქციონი და 120-ზე მეტი ობიექტი, რომლებიც „ქართუ ბანკში“ იყო გირაოს სახით ჩადებული, უკვე სახელმწიფოს საკუთრებაა. იმ ქონების საერთო ღირებულება, რაც სახელმწიფომ „ქართუ ბანკის“ საზიანოდ მფლობელებს „წაართვა“ 200 მილიონი ლარია, გირაოში ჩადებული ამ ობიექტების უზრუნველყოფით კი ბანკს სესხად 135 მილიონი ლარი ჰქონდა გაცემული.*

ამ ცოტა ხნის წინათ გაირკვა, რომ ამის გარდა კიდევ დამატებით 15 ობიექტი გავა აუქციონზე. კიდევ ერთ ფინანსურ ჯგუფს, რომელშიც ორი კომპანიაა გაერთიანებული, სახელმწიფოს მიმართ დავალიანება „აღმოაჩნდა“. ყადაღა დაედო „ვაზი 2002“-ის და სს „ოკამის“ კონიაკის ქარხანას და მის უძრავ-მოძრავ ქონებას. ლაპარაკია დაახლოებით 300 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, რომელიც საჯარო რეესტრში 41 ობიექტად არის რეგისტრირებული. სხვათა შორის, საჯარო რეესტრში ბოლო ცვლილება კომპანიამ მიმდინარე წლის 2 მარტს განახორციელა, ორიოდე დღეში კი მისი ქონება დაიყადაღეს. რა ხდება „ქართუში“ და რა პერსპექტივები რჩება ბანკს ამხელა ზარალის შემდეგ ამ თემაზე „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი გვესაუბრება.

– პროცესი მიმდინარეობს, წინასწარაც განვაცხადეთ, რას აპირებდა ხელისუფლება. ყველაფერი პრაქტიკულად ისე მიდის, როგორც ჩვენ წარმოვიდგინეთ და უფრო უარესადაც, ეს დასაკუთრებული ქონებები გამოაქვთ აუქციონზე, აკეთებენ გაყიდვის იმიტაციას, მაგრამ ეს არის აუქციონის მხოლოდ მცდელობა, იმიტომ, რომ არც ერთ შემთხვევაში, სადაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა არ დაგვითმეს. იყო შემთხვევა, როდესაც 99 ბიჯი მივეცით მაგრამ მაინც გვაჯობეს.

– მყიდველი ვინ არის ხოლმე?

– სადაც ჩვენ არ ვლებულობთ მონაწილეობას, მყიდველი არსად არ არის და ქონება სახელმწიფოს რჩება საკუთრებაში, რომელიც წესით, მეორე აუქციონზე უნდა გაიტანონ. სადაც ჩვენ ვლებულობთ მონაწილეობას, ავტომატურად ჩნდება მყიდველი, რომელიც გვევაჭრება ბოლომდე, არ გვითმობს ამ ქონებას, მაგრამ მოგვიანებით უარს აცხადებს ფულის გადახდაზე და ობიექტი ისევ სახელმწიფოს რჩება.

– სოლიდური კომპანიები არიან, ვინც აუქციონში მონაწილეობენ?

– რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს ინფორმაცია, რომ რომელიღაც ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიები იყო, მაგრამ მფლობელს ვერ მივაკვლიეთ, თუმცა ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან აქაური კომპანიები არ არის და ვერ ვიტყვით, რომ ამისია ან – იმისი. ვიცით, რომ მათ არც ერთ შემთხვევაში არ შეუქენიათ არც ერთი ობიექტი. ჩვენი ინფორმაციით, თუმცა დაზუსტებულად არც ამ ინფორმაციას გვაწვდიან, ამ კომპანიებს ის 10%-იც კი არ გადაუხდიათ, რომელიც აუქციონში მონაწილეობისთვის უნდა გადაეხადათ. თუმცა ეს დადასტურებული ჯერ არ არის იმიტომ, რომ ამ ტიპის ინფორმაციებს ჩვენ არ გვაწვდიან ან გვაწვდიან, დიდი ხნის დაგვიანებით. ეს, რაც შეეხება პირველად აუქციონებს. ამის შემდეგ ეს ობიექტები მეორე აუქციონზე უნდა გამოეტანათ.

– რამდენადაც ცნობილია, გარკვეული ობიექტები უკვე გაიყიდა...

– 3 თებერვალს მოხდა დიდი ოდენობით ქონება. ჩვენი ღრმა რწმენით, პირდაპირი მიყიდვის წესით, რადგან აუქციონზე არ გამოსულა. სხვა წესი საქართველოს კანონმდებლობით არ არის – ან აუქციონით უნდა გაიყიდოს, ან პირდაპირი მიყიდვით. რაკი აუქციონზე არ გაუტანიათ, ვაკეთებთ დასკვნას, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით გაიყიდა. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის ბრძანებულება უნდა არსებობდეს, მაგრამ ვერც ეს ბრძანებულება ვერ აღმოვაჩინეთ საკანონმდებლო მაცნეში.

– რა ფორმით შეიძლებოდა გაყიდულიყო ეს ქონება?

– არ ვიცით, რადგან დღემდე ვერ მივიღეთ პასუხი ვერც ერთ შეკითხვაზე, ვინ არის მყიდველი, არსებობს თუ არა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები და ა.შ.

– რა რაოდენობის და რა ღირებულების ქონებაზეა ლაპარაკი?

– საერთო მოცულობით 80 მილიონის საერთო ღირებულებაზე, თუმცა ღირებულების 50%-ად იყო გატანილი დაახლოებით 40-მდე ობიექტი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ერთი ფინანსური ჯგუფის ყველა ობიექტი ერთმა პიროვნებამ შეისყიდა.

– რომელი ფინანსური ჯგუფის ქონებაზეა ლაპარაკი?

– „ბრენფილდ ჯორჯიას“ და „მალი ჯგუფის“ (ეს ერთი ფინანსური ჯგუფიაა, 21 ობიექტი იყიდა ახლად შექმნილმა შპს-მ, რომელიც ერთი პირის, ვინმეს სირაძის მიერ არის დაფუძნებული. იანვრის დასაწყისში 200 ლარად დაფუძნებულმა კომპანიამ შეისყიდა ყველა ობიექტი. ეს ქონებები თავის დროზე გამოტანილი იყო აუქციონზე და ამ პიროვნებას საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა, მერე კი ყველა ერთად იყიდა. ეს მხოლოდ ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ იმ საფუძვლიან ეჭვებს, რომ ეს „პადსტავნოი“ ფირმაა, მაპატიოს მკითხველმა ამ ჟარგონისთვის, მაგრამ მისთვის უფრო კარგად რომ იყოს გასაგები, ვიტყვი, რომ ვითომ ჩამორთმეული ობიექტები ამ გზით დაუბრუნდა ამ ქონების თავდაპირველ მფლობელს.

კოდუების 9 ობიექტი, მთლიანობაში 30 მილიონი ღირებულების ქონება შეიძინა ერთი და იგივე ქალბატონის მიერ დაფუძნებულმა ორმა შპს-მ. თანაც არ ვიცი, ეს თავხედობის ელემენტია თუ ფანტაზიის ნაკლებობა, ერთ ორგანიზაციას ჰქვია „პე-პე“ და ეჭვი გვაქვს რომ მისი დამფუძნებელი ქალბატონი ქეთევან პაპავაძეა და აქედან მოდის ეს სახელი. მეორე ობიექტია „დე-კა“ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის დაარსებული ერთ-ერთი ფირმა, „დე-კა“ თუ არ ვცდები, 12 იანვარს არის დაფუძნებული 200-ლარიანი საწესდებო კაპიტალით ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის რომელიღაც სართულზე. მეორეც – იგივე ბინაში, იგივე მისამართზე თუმცა გასული წლის 21 დეკემბერს არის დაფუძნებული. პირდაპირ ჩანს, რომ ეს ფირმები სპეციალურად ამისთვის არის შექმნილი. ჩვენთან პრემია რატომ გაეცინო, მთელი ხელისუფლება ყალყზე დგას და 200-ლარიანი ფირმა რომ 30 მილიონის ქონებას ყიდულობს, ამ შემთხვევაში რატომ არ უჩნდებათ შეკითხვები, საინტერესოა.

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ვითომ საბიუჯეტო დავალიანების მქონე ობიექტები მათ ყოფილ მფლობელებს უკან დაუბრუნეს?

– ჩვენ ვამბობდით, რომ ამას გააკეთებდნენ. დღემდე არ მოგვანწოდეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები, ვინ გადაიხადა და რამდენი, სად ჩაირიცხა ეს თანხა. ვნახოთ, თუ არსებობს ეს დოკუმენტაცია და მთლად ყალბი გარიგებები არ არის. ელემენტარულად, საჯარო რეესტრი არანაირ ინფორმაციას არ გვაძლევს.

– ბანკებს პირველადი იპოთეკარის უფლება საგადასახადოს სასარგებლოდ 2011 წლის ოქტომბერში ჩამოერთვათ, თუმცა, უკვე ცნობილი გახდა, რომ მთავრობამ ბანკებისთვის ჩამორთმეული უფლების დაბრუნება გადაწყვიტა. როგორ ფიქრობთ, რა არის მთავრობის ამ გადაწყვეტილების მიზეზი და რამდენად მიეცემა „ქართუ ბანკს“ სულის მოთქმის საშუალება?

– სულ რამდენიმე დღის წინათ შევიდა პარლამენტში კანონპროექტი, რომელიც ბანკებს ძველ უფლებებს აღუდგენს. დიდი ხნის წინათ ვთქვი და ვაშინგტონში რომ ვიყავი, იქაც მოვახსენე ყველას, როდესაც მკითხეს, როგორ ფიქრობთ, ამ მიმართულებით ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯები რა იქნებაო. მე ვუთხარი, რომ მაქსიმუმ 15 აპრილამდე ამ კანონს გააუქმებენ, იმიტომ რომ აპრილის დასაწყისში საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ, რომელიც საბანკო სისტემას ამოწმებს, უნდა დადოს დასკვნა. თუ ამ დროისთვის ეს კანონი კვლავ ამ ფორმით იარსებებს, მთლად ისე არა, როგორც ჩვენ მოგვხვდა, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულად მოხვდება დანარჩენ ქართულ ბანკებსაც. საქართველოს ხელისუფლებას აღებული ჰქონდა ვალდებულება, სხვა ბანკებს უთხრა, ოღონდ თქვენ ხმა არ ამოიღოთ და ეს კანონი თქვენ არ შეგეხებათო, ამიტომ ვალდებულები არიან, ვიდრე აუდიტორული კომპანიები დასკვნას დადებენ, ეს კანონი გააუქმონ. მანამდე, რასაკვირველია, ინტენსიურად დაგვიმბავენ ჩვენ, რომ მაქსიმალურად დიდი ძონება წაგვართვან. პარლამენტმა ახლა დაიწყო განხილვა. აბა დაინტერესდით, რამდენ ხანში დასრულებენ, წინასწარ ვიცი, რომ მაქსიმალურად გაწელავენ დროს, თუმცა ის დამანგრეველი კანონი, რომლის მეშვეობითაც „ქართუს“ ამხელა ზარალი მიაყენეს, სულ ერთ დღეში მიიღეს.

– საკმაოდ ძლიერ დარტყმებს გაუძლო ბანკმა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა შეიძლება თუ არა მის არსებობას საფრთხე შეექმნას?

– შეიძლება, რომ საფრთხე შეექმნას. უკვე აღარ ვიცი, კიდევ რამდენს გაკეთებენ შეუძლიათ, ან მეტი რაღა უნდა გააკეთონ, მაგრამ თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება, ნებისმიერი ბანკის დანგრევა შეიძლება. ავიღოთ მოდელირებული სცენარი, რაც ჩვენ გაგვიკეთეს, იგივე რომ გაეკეთებინათ საქართველოს დანარჩენ ბანკებისათვის, აქამდე არც ერთი მათგანი აღარ იარსებებდა, ყველა დაძირული იქნებოდა, ჩვენ ბიძინა ივანიშვილის ფინანსურმა თანადგომამ გადაგვარჩინა.

– როდესაც სახელმწიფო ასეთ მიზანმიმართულ პოლიტიკას ეწევა ერთი კონკრეტული ორგანიზაციის მიმართ და ეს პროცესი არ მთავრდება, ალბათ ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაზეც შეიძლებოდა ფიქრი...

– ზუსტად მაგისთვის ვიყავი ცოტა ხნის წინათ აშშ-ში. მქონდა შეხვედრები ძალზე სერიოზულ ორგანიზაციებთან. ვიყავი აშშ-ის კონგრესში, სენატში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც მაღალჩინოსნებთან მქონდა შეხვედრები და ეს ანგარიში თუ საჭირო გახდა, გამოქვეყნდება კიდეც. მქონდა შეხვედრები აშშ-ის ცენტრალურ ბანკში, აშშ-ის ხაზინაში, რომელსაც 86 მილიარდი დოლარი აქვს მიცემული საბალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისთვის. აქედან გამომდინარე, მას მონიტორინგის უფლება აქვს.

მქონდა შეხვედრები საბალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, რომელთაც აქვთ ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ შეაჩერონ ეს ბაკჰანალია. ამისი ვალდებულებაც აქვთ და პასუხისმგებლობაც. საბწუხაროდ, ისე აქტიურად არ მუშაობენ, როგორც ევალებათ.

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში მქონდა ძალზე საინტერესო შეხვედრა იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან დაინტერესდნენ იმით, რაც ხდებოდა „ქართუ ბანკის“ ირგვლივ. მქონდა შეხვედრა ჰელსინკის კომისიაში, რომელიც მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაცია.

ამ ორგანიზაციებიდან არც ერთი არ არის ვალდებული „ქართუ ბანკის“ ან ქართული საბანკო სისტემის გულისთვის ზედმეტად გაიცხელონ თავი, მაგრამ იყო დაპირებები, და საუბრიდან მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მათი შესაძლებლობების ფარგლებში ალბათ, დაგვეხმარებიან.

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის მოდგილეც ისიც კი მირჩია, რომ ევროპის მიმართულებითაც გვეფიქრა, მაგრამ მე ავუხსენი, როსთვისაც ჩავედი ჯერ აშშ-ში.

– მართლაც, რატომ ჯერ აშშ და არა ევროპა?

– იმიტომ, რომ საბალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და აშშ-ის ხელისუფლებას ძალიან დიდი წვლილი აქვთ შეტანილი საქართველოში თანამედროვე საბანკო სისტემის ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, აქვთ პასუხისმგებლობაც - არა პირადად ჩემთან და ქართველ ხალხთან, მაგრამ როდესაც რაღაცაზე დიდ ძალისხმევას გასწევ, შედეგიც გაინტერესებს და ეს შედეგი საერთაშორისო საფინანსო სისტემისთვის მნიშვნელოვანია, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ.

– საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ მათ არავის წინაშე არ აქვთ ვალდებულება და თუ არ აწყობს ამ მთავრობას, არც აშშ-ის რჩევებს გაითვალისწინებს და არც ევროპის, მით უმეტეს, არც საბალუტო ფონდის. თუმცა საბალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს აქვთ ფინანსური ბერკეტები, რომლითაც შესაძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებაზე ზემოქმედება, მაგრამ სააკაშვილის მთავრობის მიმართ ეს ბერკეტები მათ არასოდეს გამოუყენებიათ...

– ზუსტად ამაზე იყო ლაპარაკი მსოფლიო ბანკსა და საბალუტო ფონდთან. მათ არა მარტო ფინანსური ბერკეტები არ გამოუყენებიათ, ამ ბაკჰანალიაზე ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ.

ისიც ავუხსენი, რომ ძალიან კარგად ვიცნობ მათ მუშაობას, რადგან ოთხი წელი ვიყავი საბალუტი ფონდის მმართველი საქართველოდან. ავუხსენი, რომ მე არა ვარ პატარა ბავშვი, რომ ვიღაცამ თითზე დამიხვიოს და მითხრას, ბერკეტები არ გააჩნიათ და საქართველოში მუშაობა დაამთავრეს. 500 მილიონი აქვთ ჩადებული ორი წლის წინათ ქართულ საბანკო სისტემაში. ამისთანა კანონის მილების შემთხვევაში მათ აქვთ უფლება, მნიშვნელოვნად გაზარდონ საპროცენტო განაკვეთი, რაც მძიმე დარტყმა იქნება საქართველოს საბანკო სექტორისთვის.

– საქართველოს ხელისუფლებასთან გარიგებაში არიან? ზოგჯერ ასეთი ეჭვიც ჩნდება-ხოლმე...

– არ მინდა ასეთი დასკვნა გავაკეთო, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან პასიურ პოზიციაში არიან დღესდღეობით.

– თუ მართლაც მოახდინა საბალუტო ფონდმა ან მსოფლიო ბანკმა სათანადო რეაგირება, თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შეწყვეტს „ქართუ ბანკის“ დევნას?

– ამისთანა დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირება უნდა მოხდეს. შეიძლება ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ ვიდრე წრედი არ შეიკვრებოდა, მხოლოდ ჩვენი მოსაზრებები იყო ეს და პირველ ეტაპზე, ვაშინგტონსა და ლონდონში ვერ წავიდოდით და ვერ ვიტყოდით, რომ ამას გვიპირებენო.

ახლა წრედი შეიკრა, ციკლი დაამთავრეს. შევძრავთ მთელ მსოფლიოს და იქულებულს გავხდით. მსოფლიოს აქვს უამრავი ბერკეტი. ნახეთ, რა ხდება ირანის შემთხვევაში – მას თანდათანობით ავიწროებენ და იქულებულს ხდიან, რაღაც გადაწყვეტილებები მიაღებინონ. სადაც სხვა მიმართულება იყო საჭირო, იქ სხვა მეთოდები გამოიყენეს. მაგალითად, ერაყში, ჩრდილოეთ აფრიკაში.

მსოფლიოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ აზრს ასე ფეხებზე არავინ დაგაკიდებინებს, მით უმეტეს – საქართველოს. შეიძლება, რუსეთისხელა ქვეყანას ვერა, მაგრამ საქართველოს აიძულებენ, რაღაც გააკეთებინონ. მთავარია, ამის შესახებ ინფორმაცია და სრული სურათი მიაწოდო. რასაც „ქართუ ბანკს“ უკეთებენ, იმის სრული სურათი დავდეთ ვაშინგტონსა და ნიუიორკში.

– ვიდრე თქვენ ჩახვიდოდით ვაშინგტონში, იქამდე იქ მიხვიელ სააკაშვილი იმყოფებოდა და მსოფლიო ბანკმა მის რეფორმებზე წიგნიც დაწერა, ამდენად, ნაკლებად სავარაუდო მგონია, თავისი „ლუბიმჩიკი“, დასაჯოს. იგივე განწყობაა სავალუტო ფონდშიც და ამასთანავე, ამ ამოუცნობ „სიყვარულში“, სავარაუდოდ, რაღაც ინტერესებიც იკვეთება...

– არის ეჭვების საფუძველი, ამაში გეთანხმებით, იმიტომ, რომ როდესაც ასეთი დონის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი აკეთებს დასკვნას, რომელიც არც ერთ ნორმებში არ ეტევა, და ამასთანავე, ვერა ფრით დააბრალებ დაბალ კვალიფიკაციას, იმიტომ რომ ეს სიმართლე არ არის, ასეთ შემთხვევაში რჩება რაღაც სხვა მოსაზრებები და არ არის ეს ახალი ჩემთვის.

ძალიან კარგად მახსოვს 1998 წლის სექტემბერი, როდესაც ქართული ლარის კრახი იყო და საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ ეს რუსული კრიზისი ახსნა და ამ ორგანიზაციებმაც კვერი დაუკრეს. მე ვაცხადებ, რომ ეს მათი დანაშაულებრივი ქმედება იყო.

გავიხსენებ კიდევ ერთ პოლიტიკურ ფაქტს. არც ერთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს არ აქვს უფლება ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩაერიოს, მაგრამ 2000 წელს მათ მოახდინეს სერიოზული ზეწოლა ქართველ ამომრჩეველზე.

– როგორ უნდა მოეხდინა საბალუტო ფონდს ამომრჩეველზე ზეგავლენა?

– როგორ და მაშინდელმა ხელისუფლებამ უსაზღვროდ გაბერილი ბიუჯეტი წარმოადგინა, ტყუილი დაპირებებით ამომრჩეველთა ხმები რომ მოეპოვებინათ. საბალუტო ფონდმა თავდაპირველად თქვა, რომ ამას მხარს არ დაუჭერდა. თქვეს, რომ წავიდოდნენ ვაშინგტონში და საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობას გაწყვეტდნენ. წავიდნენ კიდეც, შემდეგ უკვე საქართველოს ხელისუფლების ჩასვლა იგეგმებოდა ვაშინგტონში, მაგრამ უცებ რაღაც შეიცვალა და საერთაშორისო საბალუტო ფონდი თვითონ ჩამოვიდა აქ და, ჩემი აზრით, დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა, როდესაც ღიად დაუჭირა მხარი ამ ბიუჯეტის მილებას. თქვეს, რომ აპრილის ბოლომდე შეგიძლიათ ამ ბიუჯეტით იმუშაოთ და თუ პრობლემები შეიქმნება ბიუჯეტის სეკვესტრს გაგიკეთებთო. აპრილში იყო არჩევნები, ანუ შევარდნაძის ხელისუფლებას მისცეს უფლება, არჩევნებამდე მოეტყუებინა ეს ხალხი. შემდეგ ჩამოვიდნენ და აპრილის ბოლოს 30%-ით შეამცირეს ბიუჯეტი. ეს არის პირდაპირი დანაშაული და ჩარევა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზეწოლა ქართველ ამომრჩეველზე. აქედან გამომდინარე, ვერ ვიქნები იმდენად ოპტიმისტი, მაგრამ ვაშინგტონიდან ჩამოვედი იმ რწმენით, რომ იქ სიტუაცია შეცვლილია.

ლალი ზირაქიშვილი,

Presage.tv

FORBES – არავინ არის უფრო დიდი, ვიდრე ბიძინა

იანვრის ერთ მშვენიერ, მზიან დილას „ფორდის“ მარკის ჯიპამ ჭორვილაში ჩამოიყვანა – ცენტრალური საქართველოს შორეულ მთიან სოფელში, იქ, სადაც ბიძინა ივანიშვილი დაიბადა. იმ დროს, როცა ირგვლივ ყველაფერი დაბინძურებული და გაღატაკებულია, ჭორვილას სუფთა ქუჩებში სწორ რიგად ჩამწკრივებულია მოწესრიგებული, კაშკაშა წითელსახურავიანი ორსართულიანი სახლები. ბევრი მოსახლე, განსაკუთრებით კი ავადმყოფები, ზეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოგლები და მრავალშვილიანი ოჯახები, ყოველთვიურად უხვ ფულად დახმარებას იღებენ. მათ აქვთ უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო ტექნიკა, ათასობით იღლიანი ადამიანი გაზის გადასახადისგანაც თავისუფალია.

ამ ყველაფრის ხარჯს (სახლების მშენებლობა, სტიპენდიები, სამედიცინო მომსახურება, ტელევიზორები, 40 ალდგენილი სკოლა და განახლებული საავადმყოფო) ივანიშვილი ფარავს. ის ამ რაიონში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. ივანიშვილთან მუშაობს ჩემი მძღოლიც. ყველაფერი, რასაც ჩავუარეთ, იმ ქალის სახლის ჩათვლით, რომელთანაც ივანიშვილის მეულლე სალონში დადის, რეგორც ჩვენმა ერთ-ერთმა გიდმა ამაყად გვითხრა, „ბიძინამ აუშენა“. ჭორვილას შუაგულში დგას ივანიშვილის თანამედროვე სასახლე, რომლის მასიური ფანჯრები რაღის მთებს შეჰყურებს. აქ უზარმაზარი სპორტული კომპლექსი და ზოოპარკია, სადაც ლემურები, ირმები, ფლამინგოები და კენგურუც კი ჰყავთ, რომელიც ზოოპარკის მეთვალყურეს ამ სიცივეში გარეთ გამოჰყავს, რათა მე მის არსებობაში დავრწმუნდე.

56 წლის ივანიშვილმა ჭორვილა ლამის ალპური ფეოდალურ მამულად აქცია. თითქმის ყველას, ვისაც შეეხვდი, თითქოს გაეფრთხილებინათ, რომ ამერიკელი ჟურნალისტი სტუმრობდა, პოლიტიკური კამპანიის მაისური ეცვა ან შვიდქმიანი ვარსკვლავის გამოსახულებიანი კაბნე ეკეთა – ივანიშვილის ახალი პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ სიმბოლო.

„ეს ფეოდალური ქალაქია“, – ტრაბახობს ვაჩე გავაშელი, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ივანიშვილის სამშენებლო კომპანიიდან.

იმის გასაგებად, თუ რა გავლენა აქვს და როგორ ზემოქმედებს ბიძინა ივანიშვილი ყოფილ საბჭოთა საქართველოზე, წარმოვიდგინოთ, რომ მაგალითად დასავლეთ ვირჯინიელმა ბიზნესმენმა, რომლის ქონებაც 48 ტრილიონია (ივანიშვილს 46 მილიარდი საქართველოს მშპ-ს ნახევრის ტოლია), მთელი შტატის მასშტაბით საკვლევმომქმედო პატრონაჟის სისტემა შექმნა და მთელი შტატი დაიკვედრებარა. ივანიშვილმა დაფინანსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეკონსტრუქცია და განაახლა დიდი თეატრები. მის სახელს უკავშირდება ეროვნული პარკების, სათხილამურო კურორტების და სამედიცინო კლინიკების რეაბილიტაცია.

მისი გადაწყვეტილება გახდეს პრემიერ-მინისტრი, ნებისმიერ მოქმედ პრეზიდენტს შეაშინებდა, რომ ალარაფერი ვთქვათ, არაპრეზიდენტურ ზიერებად, ეჭვიან, ძალაუფლების მოყვარულ მიხეილ სააკაშვილზე.

ხუთი თვის წინათ ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებას და შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატების წარდგენას გეგმავდა. თავის ლია წერილში მან დასავლეთის ნებიერა სააკაშვილი დაადანაშაულა, რომ 2003 წელს მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლისა და რვაწლიანი მმართველობის პერიოდში, მან პოლიტიკური ძალაუფლების „ტოტალური მონოპოლიზება“ მოახდინა. ივანიშვილი ადრე სააკაშვილის ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური და ფინანსური მხარდამჭერი იყო. სამი წლის წინათ ქვეყნის ორმა ყველაზე გავლენიანმა კაცმა ურთიერთობა გაწყვიტა. ივანიშვილი ამბობს, რომ მას და მის ხალხს მთავრობა დღემდე დევნის. პოლიტიკაში მოსვლის და საჯარო მოქალაქედ გადაქცევის გადაწყვეტილება მისი მხრიდან, შესაძლოა, თავდაცვის საშუალებაც იყო, მაგრამ ივანიშვილის პრეტენზია სააკაშვილის მიმართ უფრო ფუნდამენტური ხასიათისაა და მას აშკარად ქართული ელიტა – ივანიშვილის ახალი პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ სიმბოლო.

„ეს ფეოდალური ქალაქია“, – ტრაბახობს ვაჩე გავაშელი, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ივანიშვილის სამშენებლო კომპანიიდან.

იმის გასაგებად, თუ რა გავლენა აქვს და როგორ ზემოქმედებს ბიძინა ივანიშვილი ყოფილ საბჭოთა საქართველოზე, წარმოვიდგინოთ, რომ მაგალითად დასავლეთ ვირჯინიელმა ბიზნესმენმა, რომლის ქონებაც 48 ტრილიონია (ივანიშვილს 46 მილიარდი საქართველოს მშპ-ს ნახევრის ტოლია), მთელი შტატის მასშტაბით საკვლევმომქმედო პატრონაჟის სისტემა შექმნა და მთელი შტატი დაიკვედრებარა. ივანიშვილმა დაფინანსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეკონსტრუქცია და განაახლა დიდი თეატრები. მის სახელს უკავშირდება ეროვნული პარკების, სათხილამურო კურორტების და სამედიცინო კლინიკების რეაბილიტაცია.

მისი გადაწყვეტილება გახდეს პრემიერ-მინისტრი, ნებისმიერ მოქმედ პრეზიდენტს შეაშინებდა, რომ ალარაფერი ვთქვათ, არაპრეზიდენტურ ზიერებად, ეჭვიან, ძალაუფლების მოყვარულ მიხეილ სააკაშვილზე.

ხუთი თვის წინათ ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებას და შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატების წარდგენას გეგმავდა. თავის ლია წერილში მან დასავლეთის ნებიერა სააკაშვილი დაადანაშაულა, რომ 2003 წელს მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლისა და რვაწლიანი მმართველობის პერიოდში, მან პოლიტიკური ძალაუფლების „ტოტალური მონოპოლიზება“ მოახდინა. ივანიშვილი ადრე სააკაშვილის ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური და ფინანსური მხარდამჭერი იყო. სამი წლის წინათ ქვეყნის ორმა ყველაზე გავლენიანმა კაცმა ურთიერთობა გაწყვიტა. ივანიშვილი ამბობს, რომ მას და მის ხალხს მთავრობა დღემდე დევნის. პოლიტიკაში მოსვლის და საჯარო მოქალაქედ გადაქცევის გადაწყვეტილება მისი მხრიდან, შესაძლოა, თავდაცვის საშუალებაც იყო, მაგრამ ივანიშვილის პრეტენზია სააკაშვილის მიმართ უფრო ფუნდამენტური ხასიათისაა და მას აშკარად ქართული ელიტა – ივანიშვილის ახალი პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ სიმბოლო.

„ეს ფეოდალური ქალაქია“, – ტრაბახობს ვაჩე გავაშელი, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი ივანიშვილის სამშენებლო კომპანიიდან.

იმის გასაგებად, თუ რა გავლენა აქვს და როგორ ზემოქმედებს ბიძინა ივანიშვილი ყოფილ საბჭოთა საქართველოზე, წარმოვიდგინოთ, რომ მაგალითად დასავლეთ ვირჯინიელმა ბიზნესმენმა, რომლის ქონებაც 48 ტრილიონია (ივანიშვილს 46 მილიარდი საქართველოს მშპ-ს ნახევრის ტოლია), მთელი შტატის მასშტაბით საკვლევმომქმედო პატრონაჟის სისტემა შექმნა და მთელი შტატი დაიკვედრებარა. ივანიშვილმა დაფინანსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეკონსტრუქცია და განაახლა დიდი თეატრები. მის სახელს უკავშირდება ეროვნული პარკების, სათხილამურო კურორტების და სამედიცინო კლინიკების რეაბილიტაცია.

მისი გადაწყვეტილება გახდეს პრემიერ-მინისტრი, ნებისმიერ მოქმედ პრეზიდენტს შეაშინებდა, რომ ალარაფერი ვთქვათ, არაპრეზიდენტურ ზიერებად, ეჭვიან, ძალაუფლების მოყვარულ მიხეილ ს

◎ ახალი წიგნი

რუსეთში პოპულარული სერიით ***„1937 წლის გამოცანის ამოხსნა“*** *გამოვიდა* ***ანატოლი გუსევის*** *წიგნი* ***„ამხანაგი სტალინი. საუბრები ბელადთან“.***

ი. ბ. სტალინის შემოქმედებითი მემკვიდრეობა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მასში შეიძლება მონახო პასუხები ნებისმიერ, მათ შორის თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე. ეს დაადასტურა ამ წიგნის ავტორმაც – თავისი ნაწარმოებით სტალინთან ინტერვიუების ფორმით. თავის პერსონაჟს ავტორი, მაგალითად, აძლევს ასეთ შეკითხვებს:

„ამხანაგო სტალინ, რას უიქრობთ პრეზიდენტ დ. მედვედევის მიერ შემოთავაზებულ რუსეთის მოდერნიზაციის პოლიტიკაზე...

ამხანაგო სტალინ, როგორ მიგაჩნიათ სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კატინის მესახებ...

იოსებ ბესარიონის ძევ, როგორ აფასებთ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ აურზაურს?..

ამხანაგო სტალინ, თქვენი აზრით, რა იყო 1937 წლების რეპრესიების არსი?..“ და ა. შ.

თანაც გუსევის მიერ მოყვანილ სტალინის პასუხებში ერთი სიტყვაც არ არის მოგონილი – ყველა მათგანი აღებულია დოკუმენტური წყაროებიდან და შეიცავს ბელადის ნამდვილ გამონათქვამს.

ამას გარდა წიგნში მოყვანილია 1930-1940 წლებში სტალინთან ჟურნალისტების საუბრები ბევრ სხვა თემაზე, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევენ ჩვენს დროშიც.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ა. გუსევის წიგნის წინასიტყვაობისა და პირველი თავის თარგმანს.

ასე ამბობდა სტალინი

ინტერვიუ სტალინთან

დღეს მრავალ ისტორიულ და ისტორიის მაგვარ შრომებში, როდესაც იძლევიან ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის შეფასებას, ხშირად იყენებენ სიტყვას „უნდოდა“. მაგალითად: „სტალინს უნდოდა ფინეთი საბჭოთა რესპუბლიკად ექცია“. მაგრამ საიდან არის ცნობილი, რა უნდოდა მას და ან რა არ უნდოდა? არსაიდან? ასე, მოუვიდა აზრად...

სტალინი უკვე აღარაა, და რა უნდოდა ან არ უნდა, ჩვენ უკვე ვეღარასოდეს გავიგებთ. მაგრამ იმის გაგება, თუ რა თქვა მან, ადვილად შეიძლება. მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის სტალინის აზრი ბევრ საკვანძო საკითხზე, რომლებზეც ამჟამად ისტორიულ წრეებში მიდის ცხარე ბატალიები, უცნობია. არ კითხულობენ. ეზარებათ.

ციკლი „ინტერვიუ სტალინთან“ — ეს არის ჩემი შეკითხვები და ი. ბ. სტალინის ნამდვილი პასუხები. პასუხები მე ამოვიღე მისი სხვადასხვა გამოსვლებიდან, მოხსენებებიდან, წერილებიდან და ა. შ.

ა. გუსევი.

1937 წლის რეპრესიების შესახებ

— ამხანაგო სტალინ, 1937 წლის რეპრესიების თემა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემაა, რომელიც ჩვენი ისტორიის საბჭოთა პერიოდთან არის დაკავშირებული. „დემოკრატიული“ წრეები ამ თემას დიდი ხანია იყენებენ, როგორც ბრალდების მთავარ პუნქტს პირადად თქვენს წინააღმდეგ და მთლიანად მთელი საბჭოთა კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებენ, რომ რეპრესიები აიხსნება მხოლოდ თქვენი სიმკაცრით, ეჭვიანობით და სწრაფვით ერთმმართველობისკენ; რომ არ ყოფილან არანაირი „ხალხის მტრები“, — როგორც არ ყოფილან ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები და სხვები. რას იტყოდით ამ საკითხთან დაკავშირებით?

— მათ დაივიწყეს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა მსოფლიოს მხოლოდ ერთ მეექვსედ ნაწილზე, რომ მსოფლიოს ხუთი მეექვსედი შეადგენს კაპიტალისტური სახელმწიფოების სამფლობელოს. მათ დაივიწყეს, რომ საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ გარემოცვაშია. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს უბრალო ფრაზა კი არაა, ეს არის მეტად რეალური და არასასიამოვნო მოვლენა. კაპიტალისტური გარემოცვა — ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავისთან დაამყარა სოციალისტური წესრიგი. და, ამას გარდა, არის ბევრი ქვეყანა — ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც აგრძელებენ ცხოვრების კაპიტალისტურ წესს და რომლებიც გარს აკრავან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან შემთხვევას, რომ დაესხან მას თავს, გაანადგურონ იგი, ან, ყოველ შემთხვევაში, ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი.

ავიღოთ, მაგალითად, ბურჟუაზიული სახელმწიფოები — გულუბრყვილო ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენს შორის არის მხოლოდ კეთილი ურთიერთობანი, როგორც ერთი ტიპის სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს. სინამდვილეში ურთიერთობა მათ შორის მეტად შორსაა კეთილმეზობლური ურთიერთობისაგან. დადასტურებულია, როგორც ორჯერ ორი რომ ოთხია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთი-მეორის ზურგში აგზავნიან თავიანთ ჯაშუშებს, მავნებლებს, დივერსანტებს, ზოგჯერ კი მკვლელებსაც, აძლევენ მათ დავალებებს დაინერგონ ამ სახელმწიფოთა დაწესებულებებსა და საწარმოებში, შექმნან იქ თავიანთი ქსელი და „საჭიროების შემთხვევაში“ — ააფეთქონ მათი ზურგი, რომ დაასუსტონ ისინი და დაანგრიონ მათი სიძლიერე.

ასეა საქმე ამჟამად. ასე იყო წარსულშიც. ავიღოთ, მაგალითად, ნაპოლეონ I-ის დროინდელი სახელმწიფოები ევროპაში. საფრანგეთი მაშინ საავსე იყო ჯაშუშებითა და დივერსანტებით რუსების, გერმანელების, ავსტრიელების, ინგლისელების ბანაკიდან. და, პირიქით, ინგლისს, გერმანულ სახელმწიფოებს, ავსტრიას, რუსეთს მაშინ თავიანთ ზურგში არანაკლები ოდენობის ჯაშუშები და დივერსანტები ჰყავდათ ფრანგების ბანაკიდან. ინგლისის აგენტებმა ორჯერ მოაწყვეს თავდასხმა ნაპოლეონზე და რამდენჯერმე ააჯანყეს ვანდეელი გლეხები საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ.

რას წარმოადგენდა ნაპოლეონის მთავრობა? ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელმაც მოახერხო საფრანგეთის რევოლუცია და შეინარჩუნა რევოლუციის მხოლოდ ის შედეგები, რომლებიც დიდი ბურჟუაზიისთვის იყო ხელსაყრელი. არც არის სალაპარაკო, რომ ნაპოლეონის მთავრობა არ რჩებოდა ვალში თავის მეზობლებთან და თავადაც იყენებდა თავის დივერსიულ ღონისძიებებს.

ასე იყო წარსულში, ასეა საქმე ახლაც. ასეთია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა კანონი.

ისმევა კითხვა, რატომ უნდა ეპყრობოდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს უფრო რბილად და უფრო კეთილმეზობლურად, ვიდრე ერთი ტიპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს? რატომ უნდა აგზავნიდნენ ისინი საბჭოთა კავშირის ზურგში უფრო ცოტა ჯაშუშებს, მავნებლებს, დივერსანტებსა და მკვლელებს, ვიდრე აგზავნიან მათთვის მონათესავე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში? საიდან მოიტანეთ ეს? უფრო სწორი არ იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ზურგში ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა უნდა შემოაგზავნონ ორჯერ და სამჯერ უფრო მეტი მავნებელი, ჯაშუში, დივერსანტი და მკვლელი, ვიდრე ნებისმიერ კაპიტალისტური სახელმწიფოს ზურგში?

განა არ არის ცხადი, რომ სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენთან იქნებიან მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, რომლებიც შემოგზავნილი არიან ჩვენს ზურგში უცხოური სახელმწიფოების აგენტების მიერ?

— გამოდის, რომ 1937 წლის რეპრესიების მიზეზი იყო მხოლოდ ბრძოლა უცხოეთის სახელმწიფოების მიერ შემოგზავნილ ჯაშუშებთან, დივერსანტებთან და მკვლელებთან?

— არა, არა მხოლოდ. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 18 იანვრის დახურულ წერილში ამხანაგი კიროვის ბორტ მკვლელებთან დაკავშირებით ნათქვამი იყო:

„ბოლო უნდა მიეღოს ოპორტუნისტულ სათნოებას, რომელიც მოდის მცდარი ვარაუდიდან იმის შესახებ, რომ ჩვენი ძალების ზრდის კვალობაზე მტერი ხდება თითქოს სულ უფრო მეტად დამყოლი და უწყინარი. ასეთი ვარაუდი საფუძველშივე არასწორია. ეს არის მემარჯვენე გადახრის დრომოჭმული გამოვლინება, რომელიც არწმუნებს ყველას და ყველაფერს, რომ მტრები ნელნელა შემოცურდებიან სოციალიზმში, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს ნამდვილი სოციალისტები გახდებიან. ბოლშევიკების საქმე არაა მშვიდად ძილი და დოყლაპიობა. ჩვენ გვჭირდება არა სათნოება, არამედ სიფრთხილე, ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უიმედოა მტრის მდგომარეობა, მით მეტი კმაყოფილებით წავლენ ისინი უკიდურეს ზომამდე, როგორც ერთადერთ საშუალებაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ეს უნდა გვახსოვდეს და ვიყოთ ფხიზლები“.

რას მოუწოდებდნენ ეს სიგნალები და გაფრთხილებები? ისინი მოუწოდებდნენ, რომ ბოლო მოვუღოთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სისუსტეს და გადავაქციოთ პარტია აუღებელ ციხე-სიმაგრედ, სადაც ვერ შეაღწევს ვერც ერთი ორპირი.

— რა როლს ასრულებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში ტროცკისტები?

— ტროცკიზმი წარსულში იყო ერთ-ერთი პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში — ეს არის ასეთი ჯგუფი ან პარტია, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომია, პლატფორმა, პროგრამა, რომელიც კი არ მალავს და არც შეუძლია დაუმალოს თავისი შეხედულებები მუშათა კლასს, არამედ, პირიქით — ის პროპაგანდას უწევს თავის შეხედულებებს ღიად და პატიოსნად, მუშათა კლასის თვალწინ, მას არ ეშინია აჩვენოს თავისი პოლიტიკური სახე მუშათა კლასს, არ ეშინია წარმოაჩინოს თავისი ნამდვილი მიზნები და ამოცანები მუშათა კლასის წინაშე, არამედ, პირიქით შეუნიღბავად მიიღოს მუშათა კლასში იმისთვის, რომ დაარწმუნოს იგი თავისი შეხედულებების სისწორეში.

1936 წლის სასამართლო პროცესზე, თუ გახსოვთ, კამენევი და ზინოვიევი გადაჭრით უარყოფდნენ რაიმე პოლიტიკური პლატფორმის ქონას. მათ ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გამოევლინებინათ სასამართლო პროცესზე თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა. მაგრამ ეს მათ არ გააკეთეს, განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ არანაირი პოლიტიკური პლატფორმა. ეჭვიც არ არის, რომ ორივე მათგანი ცრუობდა, უარყოფდნენ რაიმე პლატფორმის ქონას. მაგრამ რატომ უარყოფდნენ ისინი რაიმე პოლიტიკური პლატფორმის ქონას? იმიტომ, რომ მათ ეშინოდათ ღიად ეჩვენებინათ თავიანთი პოლიტიკური სახე, მათ ეშინოდათ ეჩვენებინათ სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის თავიანთი ნამდვილი სახე, რომ ასეთი პლატფორმა მუშათა კლასში ზიზღს გამოიწვევდა.

1937 წლის სასამართლო პროცესზე პიატაკოვი, რადეკი და სოკოლნიკოვი სხვა გზას დაადგნენ. ისინი არ უარყოფდნენ, რომ ტროცკისტებსა და ზინოვიეველებს ჰქონდათ პოლიტიკური პლატფორმა. მათ აღიარეს გარკვეული პოლიტიკური პლატფორმის არსებობა, აღიარეს ეს, გახსნეს იგი თავიანთ ჩვენებებში. მაგრამ გახსნეს არა იმისთვის, რომ მოუწოდონ მუშათა კლასს, მოუწოდონ ხალხს მხარი დაუჭირონ ტროცკისტულ პლატფორმას, არამედ იმისთვის, რომ დასწყევლონ და დაგმონ იგი, როგორც ანტისახალხო და ანტიპროლეტარული პლატფორმა. კაპიტალიზმის რესტავრაცია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია, ექსპლუატაციის სისტემის აღდგენა, გერმანიისა და იაპონიის ფაშისტურ ძალებთან კავშირი საბჭოთა კავშირთან ომის მოახლოებისთვის, ბრძოლა ომისთვის და მშვიდობის პოლიტიკის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული დანაწევრება უკრაინის გერმანელებისთვის გადაცემით და ზღვისპირეთისა — იაპონელებისთვის, საბჭოთა კავშირის სამხედრო დამარცხებისთვის მზადება მასზე მტრული სახელმწიფოების თავდასხმის შემთხვევაში და, როგორც ამ ამოცანების მიღწევის საშუალება — მავნებლობა, დივერსია, ინდივიდუალური ტერორი საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელების წინააღმდეგ, ჯაშუშობა იაპონია-გერმანელი ფაშისტების სასარგებლოდ — ასეთია პიატაკოვის, რადეკისა და სოკოლნიკოვის მიერ წარმოდგენილი ტროცკიზმის პოლიტიკური პლატფორმა.

გასაგებია, რომ ტროცკისტების ასეთი პლატფორმა არ შეეძლოთ დაემალათ ხალხისგან, მუშათა კლასისგან. და ისინი უმალავდნენ ამ პლატფორმას არა მხოლოდ მუშათა კლასს, არამედ ტროცკისტულ მასასაც, და არა მხოლოდ ტროცკისტულ მასას, არამედ ტროცკისტული ზედა ფენების ხელმძღვანელებს, რომლებიც პატარა 30-40-კაციან ჯგუფს შეადგენდნენ. როდესაც რადეკმა და პიატაკოვმა მოითხოვეს ტროცკისგან ნებართვა ტროცკისტების პატარა 30-40-კაციანი კონფერენციის მოწვევაზე ამ პლატფორმის ხასიათის შესახებ ინფორმაციისთვის, ტროცკიმ ეს მათ აუკრძალა, უთხრა, რომ არ არის მიზანშეწონილი ილაპარაკო პლატფორმის ნამდვილ შინაარსზე ტროცკისტების პატარა ჯგუფში, ვინაიდან ასეთმა „ოპერაციამ“ შეიძლება გათიშულობა გამოიწვიოსო.

„პოლიტიკური მოღვაწეები“, რომლებიც უმალავდნენ თავიანთ შეხედულებებს არა მხოლოდ მუშათა კლასს, არამედ ტროცკისტულ მასასაც, და არა მხოლოდ ტროცკისტულ მასას, არამედ ტროცკისტების ხელმძღვანელ ზედა ფენასაც, — ასეთია ტროცკისტების ფიზიონომია.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ ტროცკიზმს უკვე არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში. ტროცკიზმი არის არა პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, არამედ მავნებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა, მუშათა კლასის დაუძინებელ მტერთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, რომელიც მოქმედებს საზღვარგარეთის ქვეყნების დაზვერვის ორგანოების დაქირავებით.

ასეთია სხვაობა წარსულში ტროცკიზმსა და ამჟამინდელ ტროცკიზმს შორის.

— მაგრამ რატომ იყვნენ ტროცკისტები ასეთი საშიში, რაშია მათი ძალა?

— მათი ძალა — პარტიულ ბილეთშია, პარტიული ბილეთის მოპოვებაში. მათი უპირატესობა არის ის, რომ როდესაც აქვთ პარტიული ბილეთი და თავს გვაჩვენებენ საბჭოთა ხელისუფლების მეგობრად, ისინი ატყუებენ ჩვენს ხალხს პოლიტიკურად, ბოროტად იყენებენ ნდობას, მავნებლობენ ფარულად და უხსნიან ჩვენს სახელმწიფოს საიდუმლოებებს საბჭოთა კავშირის მტრებს. „უპირატესობა“, საეჭვო თავისი პოლიტიკური და მორალური ღირებულებებით, მაგრამ მაინც „უპირატესობა“. ამ „უპირატესობით“ აიხსნება კიდეც, არსებითად, ის ვითარება, რომ ტროცკისტი მავნებლები, როგორც ადამიანები პარტიული ბილეთებით, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ყველა ადგილი ჩვენს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, პირდაპირი აღმოჩენა იყო უცხოეთის სახელმწიფოების დაზვერვის ორგანოებისთვის.

— ესე იგი, თქვენი სიტყვებიდან, იოსებ ბესარიონის ძევ, ჩანს, რომ საბჭოთა კავ-

◎ ახალი წიგნი

შირის მტრებმა შეძლეს შეექმნათ ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშების, დივერსანტების და მავნებლების განშტოებული ქსელი? რატომ გახდა ეს შესაძლებელი?

— ჩვენს ხალხს უცაბედად თავს წაადგა მავნებლობისა და დივერსიების მოვლენები. საიდან გაჩნდა ყველა ეს მივიწყება, სიბეცე, დაუდევრობა, ყალბი გულთბილობა? ხომ არ არის ეს ორგანული ნაკლოვანება ჩვენი ადამიანების მუშაობაში? არა, ეს არ არის ორგანული ნაკლოვანება. ეს — დროებითი მოვლენაა. საქმე ისაა, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები მთლიანად იყვნენ ჩაფლული სამეურნეო საქმიანობაში, ისინი უკიდურესად იყვნენ გართული სამეურნეო წარმატებებით, და ყოველივე ამით გატაცებულებმა სხვა ყველაფერი დაივიწყეს, ყველაფერი მიატოვეს.

საქმე ისაა, რომ სამეურნეო წარმატებებით გატაცებულებმა ამ საქმეში დაინახეს ყველაფრის დასაწყისი და დასასრული,

ისეთ საქმეებს კი, როგორიცაა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტური გარემოცვა, პარტიის პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, ბრძოლა მავნებლობასთან და ა. შ; უბრალოლდ აღარ აქცევდნენ ყურადღებას, მიაჩნდათ, რომ ყველა ეს საკითხი მეორეხარისხოვანი ან სულაც მესამეხარისხოვანი საქმეა.

წარმატებები და მიღწევები — რასაკვირველია, დიდი საქმეა. ჩვენი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის დარგში მართლაც უზარმაზარია. მაგრამ წარმატებებს, ისევე როგორც ყველაფერს ქვეყანაზე, აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც. არ არის გასაკვირი, რომ სოციალისტური მშენებლობის დარგში დიდი და სერიოზული წარმატებების ვითარებაში იქმნება ტრაბახის, ჩვენი წარმატებების პარადული მანიფესტაციების განწყობილება, იქმნება ჩვენი მტრების ძალების შეუფასებლობის განწყობილება, საკუთარი ძალების გადაჭარბებულად შეფასების განწყობილება და, როგორც ყოველივე ამის შემდეგ ჩნდება, პოლიტიკური სიბეცე.

აქ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა იმ საფრთხეზე, რომელიც დაკავშირებულია წარმატებებთან, საფრთხეზე, რომელიც დაკავშირებულია მიღწევებთან.

იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია წარმატებებთან, ჩვენ ვიცით გამოცდილებით. საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია სიძნელეებთან, არამყარ ადამიანებში ხშირად წარმოშობს გულგატეხილობას, თავის ძალებში ურწმუნობას, პესიმიზმის განწყობილებას. და, პირიქით, სადაც საქმე შეეხება იმას, რომ დავძლიოთ საფრთხე, რომელიც სიძნელიდან მოდის, ხალხი იწრთობა ამ ბრძოლაში და გამოდის ბრძოლიდან ნამდვილად ქვასავით მაგარ ბოლშევიკებად. ასეთია სიძნელეებთან დაკავშირებული საფრთხის ბუნება. ასეთია სიძნელეების დაძლევის შედეგები.

მაგრამ არის სხვაგვარი საფრთხე — საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია წარმატებებთან, საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია მიღწევებთან. დიახ, დიახ, წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხე! ეს საფრთხე არის ის, რომ პოლიტიკაში ნაკლებად გათვითცნობიერებულ ადამიანებს და მათ, ვისაც ბევრი რამე არ უნახავს, წარმატებების ვითარება — წარმატებები წარმატებებზე, მიღწევები მიღწევებზე, გეგმების გადაჭარბება გეგმების გადაჭარბებაზე — უქმნის უზრუნველობისა და თვითკმაყოფილების განწყობილებას, ქმნის პარადული ზეიმებისა და ურთიერთმისალმების ატმოსფეროს, უკარგავს მათ ზომიერების გრძნობას და უდუნებს პოლიტიკურ ალღოს, უბიძგებს ხალხს იმისკენ, რომ იძინონ მშვიდად.

არ არის გასაოცარი, რომ გაყოყოჩებისა და თვითკმაყოფილების ამ გამაბრუებელ ატმოსფეროში, საპარადო მანიფესტაციებისა და ხმაურიანი ტრაბახის ატმოსფეროში ხალხს ავიწყდება ზოგიერთი არსებითი ფაქტი, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ბედისთვის, ხალხი უკვე ვეღარ ამჩნევს ისეთ არასასიამოვნო ფაქტებს, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა, მავნებლობის, საფრთხის ახალ ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს წარმატებებთან და ა. შ.

კაპიტალისტური გარემოცვა? ეს ხომ სისულელეა! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რაღაც კაპიტალისტურ გარემოცვას, თუ ჩვენ ვასრულებთ და გადაჭარბებით ვასრულებთ სამეურნეო გეგმებს? მავნებლობის ახალი ფორმები, ბრძოლა ტროცკიზმთან? ეს ყველაფერი არაფერია! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ყველა ამ წვრილმანს, როდესაც ვასრულებთ და გადაჭარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? პარტიის წესდება, პარტიული ორგანოების არჩევითობა, პარტიული ხელმძღვანელების ანგარიშგება პარტიული მასის წინაშე? არის კი ეს ყველაფერი საჭირო? ღირს განა საერთოდ ყურადღება მიაქციო ასეთ წვრილმანებს, თუ მეურნეობა ჩვენთან იზრდება, მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება? არაფერია ეს ყველაფერი! გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, ცუდი პარტია არა გვაქვს, ცენტრალური კომიტეტიც არაა ურიგო — კიდევ რაღა ჭირი გვინდა? უცნაური ხალხი ზის იქ, მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში: იგონებენ რაღაც საკითხებს, მსჯელობენ რაღაც მავნებლობაზე, თავად არ სძინავთ, სხვებსაც არ აძლევენ ძილის საშუალებას...

აი რა არის იმის მიზეზი, რომ სამეურნეო წარმატებებით გატაცებულმა ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაივიწყეს საერთაშორისო და საშინაო ხასიათის ფაქტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირისთვის აქვთ არსებითი მნიშვნელობა, და ვერ შეამჩნიეს მთელი რიგი საფრთხეები. ასეთია ჩვენი დაუდევრობის, გულმავიწყობის, პოლიტიკური სიბეცის ფესვები.

— ზოგიერთი თქვენი ოპონენტი, ამხანაგო სტალინ, ალიარებს, რომ რეპრესიები გარკვეულწილად საჭირო იყო, მაგრამ საუბროზენ თქვენს მიერ მიღებული ზომების „არაადეკვატურობაზე“, რეპრესიების გადაჭარბებულ ხასიათზე, — ჯაშუშები და დივერსანტები იყვნენ არა ასეულობით ათასი, კლასობრივი მტრები კი 1937 წლისთვის სსრ კავშირის მშრომელებს, თითქოსდა, სალარც დარჩენია?

— აუცილებელია გავანადგუროთ და შორს მოვისროლოთ დამპალი თეორია იმის შესახებ, რომ ყოველი ჩვენი წინსვლის დროს კლასობრივი ბრძოლა ჩვენთან თითქოს სულ უფრო და უფრო უნდა ცხრებოდეს, რომ ჩვენი წარმატებების კვალობაზე კლასობრივი მტერი ხდება თითქოს სულ უფრო და უფრო მოთვინიერებული.

ეს არა მხოლოდ დამპალი თეორიაა, არამედ სახიფათო თეორიაც, ვინაიდან ის ადუნებს ჩვენს ხალხს, შეჰყავს ის ხაფანგში, კლასობრივ მტერს აძლევს შესაძლებლობას წამოდგეს ფეხზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლისთვის.

პირიქით, რაც მეტად წავიწევით წინ, რაც მეტი წარმატება გვექნება, მით მეტად გაბოროტდებიან განადგურებული ექსპლუატატორთა კლასების ნაშთები, მით უფრო სწრაფად წავლენ ისინი ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე, მით უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს, მით უფრო მეტად გამოიყენებენ ბრძოლის ყველაზე თავგანწირულ საშუალებებს, როგორც განწირულთა უკანასკნელი საშუალებებს.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სსრ კავშირში განადგურებული კლასების ნაშთები მარტონი როდი არიან. მათ აქვთ პირდაპირი მხარდაჭერა მტრების მხრიდან სსრ კავშირის საზღვრებს გარედან. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასობრივი ბრძოლის სფერო შეზღუდულია სსრ კავშირის საზღვრებით. თუ კლასობრივი ბრძოლის ერთი ბოლო მოქმედებს სსრ კავშირის ფარგლებში, მისი მეორე ბოლო გადაჭიმულია ჩვენს გარშემო არსებული ბურჟუაზიული სახელმწიფოების საზღვრებში. ამის შესახებ არ შეიძლება არ იცოდნენ განადგურებული კლასების ნაშთებმა. სწორედ იმიტომ, რომ ეს მათ იციან, ისინი აგრძელებენ თავიანთ თავგანწირულ გამოხდომებს.

— ბოლო შეკითხვა. 1930-იანი წლების ბოლოს სსრ კავშირი იმყოფებოდა, არსებითად, ფაშისტურ გერმანიასთან გარდაუვალი ომისთვის მზადების მდგომარეობაში, — რის შესახებაც თქვენ, ამხანაგო სტალინ, არაერთგზის აღგინიშნავთ თქვენს გამოსვლებში. მოახდინა ომის საფრთხემ გავლენა რეპრესიებზე?

— მავნებლები ჩვეულებრივად თავიანთ მთავარ მავნებლურ სამუშაოს უკავშირებენ არა მშვიდობიანი დროის პერიოდს, არამედ ომის წინა ან თავად ომის პერიოდს. დავუშვათ, რომ ხელი არ გვეხლო მავნებლებისთვის. წარმოგიდგენიათ, რა კოლოსალურ ზიანს მიაყენებდნენ მავნებლები ჩვენს სახელმწიფოს ომის შემთხვევაში, ჩვენ რომ მათთვის მიგვეცა საშუალება დარჩენილიყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში?..

იმისთვის, რომ ზიანი მოგვაყენონ, სულაც არ არის საჭირო ხალხის დიდი ოდენობა. დნეპრმშენი რომ ავაგოთ, ათეულობით ათასი ადამიანი უნდა ავამოქმედოთ. ხოლო ის რომ ავაფეთქოთ, ამისთვის საჭირო იქნება, ალბათ, რამდენიმე ათეული კაცი, მეტი არა. ომის დროს ბრძოლა რომ მოიგო, ამისთვის შეიძლება დაგჭირდეს წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი. იმისთვის, რომ ჩააფლაო ეს მოგება ფრონტზე, ამისთვის საკმარისია რამდენიმე ჯაშუში ადამიანი სადღაც არმიის შტაბში ან დივიზიის შტაბშიც კი, ვისაც შეუძლია მოიპოვოს ოპერატიული გეგმა და გადასცეს იგი მტერს. დიდი სარკინიგზო ხიდი რომ ააშენო, ამისთვის ათასობით კაცია საჭირო. ის რომ ააფეთქო, ამისთვის საკმარისია სულ რამდენიმე კაცი.

ასეთი მაგალითები შეიძლებოდა მოგვეყვანა ათობით და ასობით.

(ი. ბ. სტალინის მოხსენებიდან სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 3 მარტის პლენუმზე).

◎ პოეზია

მურმან ჯგუბურია

ხე დარგე ერთი, საჩრდილობელი...

ეძღვნება გოგი თოფაძეს

„შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი“...
ილია
„შრომა — სინდისია...“
ა.პლატონოვი
„მუშა მუდამ 18 წლისაა...“
პაზოლინი
„შრომა გადაგვარჩენს...“
გ.თოფაძე

1.

არა ლირიკა, არამედ პროზა,
აი, რა არის ახლა მთავარი,
შრომა-პროზაა, ლირიკა-ლხინი,
თუმცა სალხინოდ არა გვაქვს საქმე,
მაინც გაისმის „ჰარი-ჰარალი“.

„კაცს უშრომელი ქონება ღუპავს“,
ასე ამბობდა მაჰათმა განდი,
რასაც ქართველმა გლეხმა, იმთავით,
„არამი ლუკმა“ შეარქვა, მოკლედ.

წავიკირწახოთ სახელოები,
მოვიჭიროთ კარგად ქამრები
და შევუდგეთ შრომას, რამეთუ
უშრომელად რა გამოსულა,
„შრომა ჭამასაც უნდა“, გვახსოვდეს,
დავძრათ ეს ლოდი დახავსებული,
დავძრათ ახლავე,
თორემ უფრო გაგვიჭირდება,
ქვაც იზრდება, თუ დააკვირდი,
და სახვალიოდ გადადებული
საქმე ნიადაგ უფრო მძიმდება.

იყავი კერძო მესაკუთრე,
კერძო მეურნე,
კერძო მრეწველი,
საკუთარი გახსენ ფარდული,
შემოიღობე საკარ-მიდამო,
დაამუშავე მიწის ნაკვეთი.
მიწა დედაა (ხალხი ბრძენია),
„დედას ვუყვარვართ“,
„დედა არ გვიყვარს“,
მოგვეცი ნიჭი სიყვარულისა,
ჩაყარე ვაზი, თესე — სიმინდი,
მოიწიე პური, მუხუდო,
საქონელს თივა დაუყარე,
ფრინველს — საკენკი,
ხე დარგე ერთი, საჩრდილობელი,
„მილიონი იწყება ერთით“ —
ამბობს ლაოძი,

დაიხსომე ეს შეგონება,
და შეინახე წინაპრების შენის საფლავი,
წეს-ადათს მიჰყევ დასამამიერს,
ხატ-სალოცავებს ეცი თაყვანი,
ადრე ადექი, დაწექი გვიან,
და იფიქრე გვიან ღამეში
ავდარში, გარეთ დარჩენილი
პირუტყვის გამოც,
და საქმე შენი წინ წაიწევს,
არ მეეჭვება,
მოიქარგება შენი მამული,
და ნაშრომ-ნაჯაფს როცა დახედავ,
მძლავრი პოემის სტრიქონებად
მოგეჩვენება,
ნახელსაქმარი შენი, ნაშრომი.
და განა პროზა, განა — ლირიკა,
იქნება ესე ეპიური ნაწარმოები,
რაც თვით ჰომეროსს
მხოლოდ მაშინ გამოეცხადა,
როცა შეუდგა პოემის მღერას...
მე მჯერა შენი,
შენ... ჩემი გჯერა?..

2.

— შრომა გადაგვარჩენს!..
გვანჯღრევს გოგი თოფაძე,
მრეწველობა გადაგვარჩენს!
მეურნეობა გადაგვარჩენს!

შრომობენ ჭიანჭველები
(მეტწილად თავიანთთვის),
შრომობენ ფუტკრები
(მეტწილად ჩვენთვის),
შრომობენ აბრეშუმის ჭიები
(მარტოოდენ ჩვენთვის).

შრომობს სანთელი, ამ სიტყვებს რომ ვწერ,
შრომობს შეღამება, შრომობს განთიადი
(ცვარ-ნამი თითქო დილის ოფლია),
შრომობენ მირიადი პლანეტები,
შრომობს დედა-მიწა, ტრიალებს, ბრუნავს...

და მაგონდება ცხონებული ბაბუაჩემი:
„შენ ხომ იმიტომ შრომობ, ბაბუ,
რომ დაისვენო,
მე კი ვისვენებ, რათა ვიშრომო“.
„შრომა გადაგვარჩენს!“

◎ რას წერენ ჩვენზე

სააკაშვილმა აზერბაიჯანიდან რუსეთის იმპერიული ამბიციები დაინახა

ოთხშაბათს დამთავრდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში. როდესაც აზერბაიჯანის პარლამენტში გამოდიოდა, საქართველოს ლიდერმა მოუწოდა მეგობარი ქვეყნის ხალხსა და ხელმძღვანელობას, გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს რუსეთის იმპერიის აღდგენას სხვა სახელწოდებებით.

ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ საქართველოს ლიდერის პირველი ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში გაიმართა ორი ქვეყნის პრეზიდენტების პიროვნული მეგობრობის ნიშნით. შეხვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ ილჰამ ალიევმა და მიხეილ სააკაშვილმა დაათვალიერეს გაქოს ღირსშესანიშნაობები. თანაც აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაური მოკლე დროით პირადად მიუჯდა „მერსედესის“ საჭეს, რომელშიც იჯდა საპატიო სტუმარი საქართველოდან.

მთავრობის დელეგაციების შეხვედრის დროს ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობაზე სტატისტიკის სფეროში, აგრეთვე შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ სპორტში. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა და ილჰამ ალიევმა განიხილეს ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მოწყობის ერთობლივი განცხადების შესაძლებლობა. თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რომელი წლის ჩემპიონატზე.

ამას გარდა, როგორც ჩვენს გაზეთს აცნობა წყარომ საქართველოს დელეგაციაში, პრეზიდენტებმა მოილაპარაკეს, დააჩქარონ სარკინიგზო მაგისტრალის გაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის პროექტის რეალიზაცია. ეს ხაზი აზერბაიჯანისა და საქართველოს რკინიგზებს უკავშირებს თურქეთის სარკინიგზო ქსელს, მისი გავლით კი უკავშირდება ევროპას. „პირველი საცდელი შემადგენლობები გაივლის უკვე წლის ბოლოს, და ეს რკინიგზა გახდება ჩვენთვის სარკმელი

ევროპაში“, – საზეიმოდ განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

სახელმწიფოების მეთაურები შეთანხმდნენ აგრეთვე შექმნან ერთობლივი კომპანია ელექტროენერგიის ექსპორტთან დაკავშირებით. თანაც, როგორც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში წყარომ გვაცნობა, ელექტროენერგიის ექსპორტირება იგეგმება არა მხოლოდ თურქეთში, არამედ რუსეთშიც.

ერთ-ერთი მთავარი მოვლენა ვიზიტის დროს გახდა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა აზერბაიჯანის პარლამენტში. როდესაც სიტყვას რუსულ ენაზე წარმოთქვამდა, საქართველოს ლიდერმა გაიხსენა, რომ 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა სწორედ თბილისში...

გატონი სააკაშვილის აზრით, ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რეაბილიტაციასთან, ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: „ჩვენი თავისუფლების, აზრებაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრულს“. „ამიტომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ან მოუხმობს გონებას და ერთად გაივლის გზას უფიშროებისკენ, ანდა ჩვენ მწვერვალიდან სათითაოდ მოგვისვრიან ისტორიის უფსკრულში და ყველა ჩვენი ოცნება დაიმსხვრევა“, – გაგვაფრთხილა საქართველოს პრეზიდენტმა.

სხვათა შორის, თავის სიტყვაში მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს თავად რუსეთის ლიდერები მიხვდებიან, რომ „უმჯობესია ჰყავდეს ძლიერი მეზობლები, ვიდრე არასტაბილური ვასალები, უმჯობესია იყო გარშემორტყმული ბედნიერი და ამაყი სახელმწიფოებით, ვიდრე გაწბილებული ადამიანებით, რომლებიც ოცნებობენ შურისძიებაზე, უმჯობესია გყავდეს პარტნიორები, ვიდრე მტრები“.

თავის სიტყვაში მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა ასევე რუსეთის ლიბერალური ოპოზიციის წარმომადგენლები. მან მათ „პატრიოტები“, მამაცი ადამიანები უწოდა, რომლებსაც უკეთესი ბედი სურთ თავიანთი ქვეყნისთვის“, რომლებიც „არ აგზავნიან თავის მილიარდებს უცხოეთში, თავის ღარიბ თანამოძალაძეებს კი – არასაჭირო ომებში“. „ისინი ჩვენი პარტნიორები, ჩვენი ძმები არიან“, – დაუმატა საქართველოს პრეზიდენტმა.

Коммерсантъ

რევანში საკუთარი ხელებით

საქართველოსთვის იარაღის მიწოდების ფაქტორვრცვამ ემგარგომ აიძულა სააკაშვილის რეჟიმი, მიეღოს ზომები შეიარაღების წარმოებისთვის დამოუკიდებლად. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ყოფილ სამხედრო გაზაზე თბილისის მახლობლად აჩვენეს ზალპური ცეცხლის სისტემა, რომელიც დამუშავებულია, როგორც ამას თბილისში აცხადებენ, თავად საქართველოში. ჩვენმა გაზეთმა გამოარკვია, რამდენად შეძლო საქართველომ აღედგინა თავისი შეიარაღებული ძალები 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ.



გასულ შაბათს მიხეილ სააკაშვილმა ვაზიანის სამხედრო გაზაზე მოახდინა საქართველოში მომზადებული ზალპური ცეცხლის ახალი სისტემის პრეზენტაცია (მისთვის ჯერ ოფიციალური სახელწოდება არ მოუძებნიათ). უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ეს საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესამე სიახლეა – უფრო ადრე ხელისუფლებამ წარმოადგინა ორი ახალი ჯავშანმანქანა. სხვათა შორის, ექსპერტების აზრით, მთელი ამ ტექნიკის საქართველოს იარაღად წოდება არ შეიძლება. ქვეყანაში ხელახლა აკეთებენ, ამუშავებენ ან მოდერნიზაციას უკეთებენ უცხოეთის ნიმუშებს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უფრო იარაღია, მაგრამ საიდუმლოება მხოლოდ ღირებულებაში როდია.

ვაზიანში საზეიმო ვითარებაში გაისმა საჩვენებელი სროლების ხმა. ოფიციალური მონაცემებით, ახალ „კატიუშას“ შეუძლია 20 წამის განმავლობაში გაუშვას 122 მილიმეტრის კალიბრის 40 რეაქტიული ჭურვი. ფრენის სიშორე ერთიდან 40 კილომეტრამდეა.

საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საკუთარ მილწევად შეიძლება მივიჩნიოთ ჯავშანმანქანა „დიდგორის“ გამოჩენა. პირველად მის შესახებ გაიგეს შარშან 26 მაისის დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმის დროს. თავისი სახელწოდება ჯავშანმანქანებმა მიიღეს ადგილის შესაბამისად თბილისის მახლობლად, სადაც შუა საუკუნეებში ქართველებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი გამარჯვება. მანქანის წონა დაახლოებით 7 ტონაა. ის იტევს 7-9 კაცს. მანქანა აღჭურვილია 12,7 კალიბრის ტყვიამფრქვევით. ჯავშანი იცავს მანქანას სასროლი იარაღისგან.

მაგრამ უკვე მაშინ ექსპერტებმა მოსკოვში ამ მანქანას დიდი შეფასება არ მისცეს. გეოპოლიტიკური პროგლემების აკადემიის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა კონსტანტინ სივკოვმა ჩვენთან ინტერვიუში, როდესაც „დიდგორზე“ საუბრობდა, ივარაუდა, რომ საკითხი შეეხება მსუბუქად დაჯავშნულ ჯიპს „ფორდის“ ავტომობილის გაზაზე.

მიმდინარე წლის თებერვალში დიდგორის შემდეგ საჯაროდ გამოჩნდა მეორე მანქანა „ლაზიკაც“. როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გაჩო ახალაიამ განაცხადა, „შინაარსით ეს აბსოლუტურად სხვა დანიშნულებისა და დატვირთვის მანქანაა. „დიდგორი“ არის საპატრულო, სადაზვერვო და მსუბუქად დაჯავშნული მანქანა.

„ლაზიკა“ „დიდგორზე“ ორჯერ უფრო მძიმეა, აღჭურვილია შეიარაღების დისტანციური მართვის მოდულით და ცეცხლის მართვით. მანქანაზე დაყენებულია 23-მილიმეტრიანი ქვემეხი და 7,62 კალიბრის ტყვიამფრქვევი. დღისა და ღამის მზერის კამერები და თბოვიზორები უზრუნველყოფენ მიზნის აღმოჩენასა და იდენტიფიკაციას, დისტანციურად მანქანიდან. ეკიპაჟში სამი კაცისგან შედგება და შეუძლია გადაიყვანოს 7 მედესანტე.

რეგორც ცნობილია, 2008 წლამდე საქართველოს შეიარაღებას აქტიურად აწვდიდა უკრაინა და პირველ რიგში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილს, რომლის შემდეგ, მოსკოვის უკმაყოფილების გათვალისწინებით, საქართველოს გევრმა ტრადიციულმა პარტნიორმა გაყინა სამხედრო მიწოდებანი, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისრაელმა, უკრაინამ.

თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ უკრაინის ყოველკვირეული გაზეთისთვის „ზერკალო ნედელი. უკრაინა“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ვიცეპრემიერმა, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მინისტრმა გიორგი გარამიძემ განაცხადა, რომ კიევი აგრძელებს საქართველოში იარაღის მიწოდებას და ასრულებს თავის ვალდებულებებს ადრე მიწოდებული ტექნიკის მომსახურების შესახებ. უმალვე ამას მოჰყვა სახელმწიფო კომპანიის „უკრსპეცექსპორტის“ უარყოფა.

ასევე არ დადასტურდა რამდენიმე თვის წინათ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ისრაელს შეუძლია მიყიდოს საქართველოს ტანკები „მერკავა“.

„ხვრელებზე“ საკერების დადებას საქართველო სხვადასხვა გზით ცდილობს. იმ ომის გაკვეთილების გათვალისწინებით, საქართველომ სთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები.

თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბარაკ ობამასთან იანვრის შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკელები პირველად დაპირდნენ, იზრუნონ არა მხოლოდ ქართველი მშვიდობისმყოფელების მომზადებაში (ამას კრწანისის ბაზაზე თბილისს მახლობლად აკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატების ინსტრუქტორები ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროიდან), არამედ უშუალოდ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადების ამაღლებისთვისაც.

სააკაშვილმა ამის ანონსირება მოახდინა როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობაში ახალი ეტაპის დასაწყისი. ვაშინგტონს ეს განცხადებები არ დაუდასტურებია, მაგრამ 22-23 თებერვალს თბილისში უკვე იმყოფებოდა პენტაგონის მაღალი რანგის წარმომადგენელი სელესტა ვოლანდერი. მაგრამ ჯერჯეროობით ინფორმაცია რაიმე სამხედრო მიწოდების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებიდან არ გავრცელებულა, თანაც იგი ძნელად რომ მოხვდეს ღია წყაროებში. უფრო მეტად უნდა ველოდოთ ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესს უკვე ორი ქვეყნის პროფესიონალ სამხედროთა დონეზე, რის შემდეგაც გასაგები გახდება მიაწოდებენ თუ არა რამეს ამერიკელები ქართველებს, კონკრეტულად რას და რა ფასად.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ყირგიზეთის ექსპრეზიდენტის ძმის გაძევების შემდეგ ორი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს

ახმატ ბაკიევი, რომელიც საავადმყოფოდან გაიქცა, არის ყურმანბეკ ბაკიევის ძმა. ბაკიევი გადააყენეს 2010 წლის აპრილში და ის ბელარუსში იმალება. ადგილობრივი პრესა ამტკიცებს, რომ ბაკიევს დაეხმარნენ ამჟამინდელი მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკები.

* * *

ბრიტანელი წყალქვეშა მეზღვაური დააპატიმრეს სამხედრო საიდუმლოებების გადაცემის დროს. ის მოახსენებდა რუსეთს

ქვეყანა, ვისთვისაც ედვარდ დევენი აპირებდა საიდუმლოებების მიყიდვას, არ სახელდება. მას ბევრი არ უფიქრია და დაუკავშირდა ვილაცას ლონდონის საელჩოში, მაგრამ გარიგებაზე მასთან წავიდნენ ბრიტანელი კონტრდაზვერვის მუშაკები.

* * *

აშშ-ში ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტმა კლინიკაში ხოცვა-ჟლეტა მოაწყო

ინციდენტი მოხდა ქალაქ პიტსბურგის უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში. დაიღუპა ერთი კაცი, კიდევ შვიდი დაიჭრა. ადგილზე მივიდნენ პოლიციელები, გაიმართა სროლები ორივე მიმართულებით. სროლების დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ ბოროტმოქმედი მოკლულია. ჯერჯეროობით უცნობია – იგი მოკლეს თუ თავი მოიკლა.

* * *

პენტაგონმა გამოაცხადა, რომ უტევს ირანს „სუპერიარაღით“, და დარტყმა იძნება უფრო ძლიერი, ვიდრე ისრაელელებისა

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-ლეიტენანტის ჰერბერტ კარლაილის მოხსენებაში დასახელებულია ბირთვული ობიექტების გასანადგურებელი იარაღი: უძლიერესი ბომბი, რომლის წონაც 13,5 ტონაა და რომელსაც შეუძლია დაანგრიოს ბუნკერი, რომლის ბეტონის სისქეც 66 მეტრია.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 15 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ — ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №3; №4 და №5 სალიცენზიო ობიექტებზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №3; №4 და №5 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

[illegible] კოორდინატები ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ

[illegible]			[illegible]			[illegible]		
[illegible]	x	y	[illegible]	x	y	[illegible]	x	y
1	[illegible]	[illegible]	1	[illegible]	[illegible]	1	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]	2	[illegible]	[illegible]	2	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]	3	[illegible]	[illegible]	3	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]	4	[illegible]	[illegible]	4	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]	5	[illegible]	[illegible]			
[illegible]			6	[illegible]	[illegible]			

[illegible]	x	y
1	[illegible]	[illegible]
2	[illegible]	[illegible]
3	[illegible]	[illegible]
4	[illegible]	[illegible]
5	[illegible]	[illegible]

[illegible]	[illegible] — [illegible] [illegible] [illegible]

◎ ჭიდაობა

იმედი დაგვიბრუნეს

ბელგრადში **თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა სამ დღეში ოთხი მედალი (ორი „ვერცხლი“, ორი „ბრინჯაო“) მოიპოვა.** ასპარეზობის სტარტზე, როგორც გაუწყეთ, წარუმატებლად იჭიდავეს პეკინის ოლიმპიადის პრიზიორებმა – ოთარ თუშიშვილმა (66 კგ) და გიორგი გოგშელიძემ (96). სამაგიეროდ, მეორე დღეს ევროპის ვიცეჩემპიონებმა – გესარიონ გოჩაშვილმა (55) და მალხაზ ზარძუამ (60) იყოჩალეს. 55 კილოში ვლადიმერ ხინჩეგაშვილს უნდა ეჭიდავა, მაგრამ მას სალიცენზიო ტურნირებისთვის სპეციალური პროგრამით ამზადებენ, ამდენად, იგი გოჩაშვილით შეცვალეს, რომელმაც იოლად მოუგო ლიტველ შარუნას იურკუსს, თურქი აჰმეთ პეკერის დასამარცხებლად კი სამი პერიოდი დასჭირდა. ქართველმა ფალავანმა მათ გზას გაუყენა უკრაინელი იგორ ხავალჯი და მოლდოველი ალექსანდრე ჩირტოაკა. ფინალში ჩვენებურს ევროპის ორგზის ჩემპიონი ჩეჩენი ჯამალ ოთარსულთანოვი გადაელოგა. პირველი პერიოდი გოჩაშვილმა 0:5 დათმო, მეორეში კი ხელის ტრავმის გამო ხალიჩაზე არ გავიდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მალხაზ ზარძუამ პირველ წრეში სლოვაკ მიკოლა გოლოტნიუკს ავჯოგა, თუმცა მომდევნო შეხვედრა მომავალ ჩემპიონ, აზერბაიჯანელ ტოგრულ ასგაროვთან წააგო. დამამშვიდებელ ჯგუფში თურქი მუნირჯერ ატკასი და რუმინელი გეორგე გუცური დაჯაბნა და „ბრინჯაოც“ გაინაღდა.

დავით ხუციშვილმა (74) ასპარეზობის სტარტზე თურქ სონერ დემეტრასს სძლია, ვისთვისაც 2010 წლის ახალგაზრდებში ევროპის და მსოფლიოს პირველობების ფინალიც აქვს მოგებული, შემდეგ უფრო იოლად ჩამოიშორა გზიდან გერმანელი აიდინ ერგუნი, გულგარელი ოლიმპიური პრიზიორი კირილ ტურზიევი, ნახევარფინალში აზერბაიჯანელი ალექსანდრ გოსტიევი დამარცხა და ოქროს მედლამდე ხელის გაწვდენაღა რჩებოდა, მაგრამ ფინალში რუსთა აფხაზ ფალავანს – დენის ცარგუშს ვერაფერი დააკლო და ასპარეზობაც მეორე ადგილზე დაამთავრა.



მძიმეწონოსანი დავით მოძმანაშვილი პირველსავე წრეში უნგრელ დანიელ ლიგეტისთან მესამე პერიოდში 7:8 დამარცხდა. მადიარი შემდეგ ფინალში გავიდა და ჩვენებურიც სანუგეშო ჯგუფში გაიყოლია. იქ კი იყოჩაღა მოძმანაშვილმა – ჯერ ესპანელ ხოსე ვასკეს კუბას გადაუარა (6:0, 6:0), შემდეგ – გულგარელ დიმიტრ კუმჩევს (2:0, 7:0) და ბრინჯაოს მედალი დაიმასახურა.

ლექსო ციწიაძე

◎ ჭადრაკი

სპარსული „ვერცხლი“

ირანულ რეშტაში დამთავრდა მოჭადრაკეთა ხაზარის თასის მე-10 გათამაშება, რომელშიც საქართველოს ცხრა წარმომადგენელი მონაწილეობდა. სხვებზე უკეთ საერთაშორისო ოსტატმა გიგა ყუფარაძემ იასპარეზა: თორმეტი შესაძლებლიდან 8,5 ქულით მან მეორე ადგილი დაიკავა – ნახევარი ქულით მასპინძელმა ჰოუია იდანიმ აჯობა. დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 6. შოთა აზალაძე (7,5), 9. დავით გენიძე (7,5), 13. ვალერიან გაფრინდაშვილი (7), 19. ლუკა პაიჭაძე (7), 22. ლევან ფანცულაია (6,5), 29. გაიოზ ნიგალიძე (6,5), 31. აკაკი შალამბერიძე (6,5), 78. დავით ლომსაძე (4,5).

ლაშა დიდია

◎ ფაქტი

რა დააშავა ბექჰემმა?

არასასიამოვნო შეხვედრა მოუწყვეს ამერიკული „ლოს-ანჟელეს გელეკსის“ ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს „ტორონტოს“ გულშემატკივრებმა MLS ჩემპიონატის დროს.

ტორონტოში თითქმის მთელი სტადიონი გაივსო, 50 ათასამდე კაცი მივიდა იქ. ბექჰემისთვის უცხო როდია დიდი ყურადღება, მაგრამ ამჯერად გულშემატკივრებმა რატომღაც გადააჭარბეს. ყოველ კუთხურს, სულ 36 წლის ინგლისელი რომ აწვდიდა, დიდი არეულობა მოჰყვებოდა ხოლმე. მინდორზე ისროდნენ ლენტებს, ხურდა ფულსა და სხვადასხვა ნაგავს, ერთხელ კი ფეხბურთელს კინაღამ თავში მოხვდა ლუდის ქილა, რამაც ბექჰემი გააბრაზა და ამ გარემოებაზე მსაჯთა ყურადღება მოითხოვა. ქილა კი შორს გადააგდო. ამ დროს „ლოს-ანჟელესი“ აგებდა 1:2. მაგრამ მალე ანგარიში გაათანაბრეს. ბექჰემს სკანდალი არ აუტეხავს. მისი თქმით, სტადიონზე მშვენიერი ატმოსფერო იყო. მაყურებელთა უმრავლესობა სანახაობით დასატკბობად მოვიდა. საბოლოოდ, გამოჩნდა ზოგიერთი, რომლებმაც ყველაფრის გაფუჭება მოინდომეს. ამას კი გავშვებიც უყურებდნენ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თბილისის „დინამოს“ ვეტერანი მეკარის

რამაზ ურუშაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ფეხბურთი

პანორამა

მოგეხსენებათ, რომ ვარდყვავილოვანი ზესახელმწიფოს ძლევამოსილ ხელისუფალს მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს ჭირივით ეზიზღება აქეთ-იქით ტრიალი, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და თავისი ძვირფასი დროიდან რამდენიმე საათი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ვიზიტისთვის გამონახა, იქ ისეთ სიბრძნეებს აფრქვევს, სამშობლოში დაბრუნებული ლამის ჰამურაბად შერაცხონ.

ასე მოხდა ამჯერადაც – მეზობელ-მეგობარი აზერბაიჯანის მილი-მევზლისში გამოსვლისას რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის დამპყრობმა ნაციონალთა ბელადმა არც აცია, არც აცხელა და, როგორც საერთოდ სჩვევია, ისეთი იდეა წამოაყენა, იქ მტერს დაუყენა თვალი და აქ – მოყვარეს.

ეტყობა, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გულომდე გასიგრძეგანებული ის ფაქტი, რომ ბუნებით მაქსიმალისტი პრეზიდენტი ჯიუტად ცდილობს პრაქტიკულად დაადასტუროს ცნობილი გამოთქმის ჭეშმარიტება: შემირცხვენია ის ჯარისკაცი, ვინც გენერლობაზე არ ოცნებობსო! სხვაგვარად ძნელია, აიხსნას გაქოში გაჟღერებული პროექტი – საქართველომ და აზერბაიჯანმა ერთობლივად უმასპინძლონ 2020 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს!

ეს რომ უტოპიური და ჩანასახშივე მკვდრადშობილი ჩანაფიქრია, ჩვენი გაძვალტყავებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურაც მოწმობს, რის გამოც, როგორც კი წამოთქვა, მაშინვე მოგვიწია ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპის მთელი რიგი შეხვედრების გადადება და II რაუნდის მონაწილენი ძლივს გამოვავლინეთ. აღარაფერს ვამბობთ ისეთ „წვრილმანებზე“, როგორიცაა უსაფრთხოება, სასტუმროების ძსელი, აეროპორტები და, რაც მთავარია, სტადიონები – ცაიტნოტურ ვითარებაში 2014 წლამდე, როცა უეფა არჩევანს გააკეთებს, მინიმუმ 12 უმაღლესი კლასის სარგებელის აშენება უნდა მოესწროს!

და კიდევ: როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ისე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მედიას გამოუტყდნენ: აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულნი არ ვიყავით და ჩვენც ჰოსტფაქტუმ შევიტყვეთო, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი კომისია, რომელმაც აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად კანდიდატურა უეფას სტამბოლის კონგრესზე 21 მარტს უნდა წარადგინოს, აწი შეიძმნებაო.

რეზიუმეს სახით დავძენთ: ალბათ, სწორედ ამაზეა ნათქვამი, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო.

* * *

ბუნებრივია, კომენტარისთვის ბატონ ლადო ვარძელაშვილთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ თბილისში დაბრუნებულს იმდენი საქმიანი შეხვედრა დახვდა დაგროვებული, რომ მთელი დღის განმავლობაში ჩვენთან შესახვედრად ვერ მოიცალა.

არადა, როგორ არ გავიხსენოთ მისი ღირსეული წინამორბედები, რომლებსაც ჟურნალისტებთან კოლეგიალურ ურთიერთობას შინაგანი მრწამსი და საერთო საქმის წარმატებით კეთების სურვილი აიძულებდათ.

დავიჯეროთ, მათ დროის ნაკლები დეფიციტი ჰქონდათ?

* * *

მაშ ასე, საქართველოს XXIII ეროვნული ჩემპიონატის I ეტაპი დასრულდა. დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო – მეორე რაუნდის მატარებელს უკანასკნელნი გაპოლიციელებული „დილა“ და კოლხური ტრიო შეახტნენ.

მართალია, საამისოდ მათ პატარ-პატარა სკანდალებიც გადაიტანეს, მაგრამ ანტურაჟისთვის, ალბათ, ესეც საჭირო იყო – ხომ უნდა მოვიწონოთ თავი, ყველაფერი ფეირ-პლეის პრინციპის დაცვით მოხდაო.

და კიდევ: ჯერაც უცნობი მიზეზების გამო თანამდებობა დატოვა თბილისის „დინამოს“ ვიცეპრეზიდენტმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა.

XXII ტურის შედეგები: „ვიტ ჯორჯია“ – „ზესტაფონი“ 0:1, „კოლხეთი“ – „ტორპედო“ 0:0, „დინამო“ – „გაგრა“ 2:1, „მეტალურგი“ – „სიონი“ 1:2, „გაია“ – „მერანი“ 1:0, „ცხინვალი“ – „დილა“ 2:2.

საბოლოო მდგომარეობა: „ზესტაფონი“ – 54, „დინამო“ – 45, „ტორპედო“ – 43, „მეტალურგი“ – 33, „მერანი“ – 30, „გაია“ – 28, „დილა“, „კოლხეთი“ – 26-26, „ვიტ ჯორჯია“ – 25, „ცხინვალი“ – 24, „გაგრა“ – 21, „სიონი“ – 12 ქულა.

ბომბარდირები: დვალი („ზესტაფონი“) – 12, ჩისკო („დინამო“) – 10, ტატანაშვილი („მეტალურგი“) – 9 გოლი.

ახლა კი, მოდით, იმ მონაგარსაც გავეცნოთ, რომლითაც გუნდები II ეტაპზე ჩაეგზავნენ და ვინატროთ ისეთი აგდაუგდა სისტემა, რომლითაც აქამდე თამაშობდნენ ისინი, აწი მაინც აღარ მომწიფებულიყოს ქართული ფეხბურთის მამებისა და მათ ზემდგომთა თავებში.

პლეი – ოფი

„ზესტაფონი“ – 30, „ტორპედო“ – 24, „დინამო“, „მეტალურგი“ – 23-23, „გაია“ – 16, „დილა“ – 15, „მერანი“ – 13, „კოლხეთი“ – 12 ქულა.

პლეი – აუტი

„ჩიხურა“, „გათუმი“, „გურია“, „მერცხალი“, „ვიტ ჯორჯია, „ცხინვალი“, „გაგრა“, „სიონი“ – ყველა 0 ქულით დაიწყებს ბრძოლას: პირველი ოთხეული უმაღლეს ლიგაში აღსაზევებლად, ხოლო მეორე კვარტეტი – ელიტაში ადგილების შესანარჩუნებლად.

* * *

ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები: „ბარსელონა“ – „ლევერკუზენი“ 7:1 (მესიმ 5 გოლი გაიტანა; პირველი მატჩი 3:1), „აპოელი“ – „ლიონი“ 1:0 (0:1; პენალტებით – 4:2).

* * *

ევროპის ლიგა. პირველი მერვედფინალური შეხვედრები: „მანჩესტერი“ – „ბილბაო“ 2:3, „ატლეტიკო“ – „გეშიძთაში“ 3:1, „სტანდარდი“ – „ჰანოვერი“ 2:2, „სპორტინგი“ – „სიტი“ 1:0, „ვალენსია“ – „ეინდჰოვენი“ 4:2, „მეტალისტი“ – „ოლიმპიაკოსი“ 0:1, „ტვენტე“ – „შალკე“ 1:0, „ალკმაარი“ – „უდინეზე“ 2:0.

◎ ინტერნეტიდან

კოკაინის კონტრაბანდისთვის

შარშან, ოქტომბერში, ბრაზილიაში სან-პაულუს საერთაშორისო აეროპორტში თავის ქალიშვილთან, ჩოგბურთელ სარასთან ერთად დააპატიმრეს ბულგარელი ძალოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი გალაბინ ბოევსკი. მათ ორ სპორტულ ჩანთაში აღმოაჩნდათ 9 კილოგრამი კოკაინი. პოლიციამ მალე გაათავისუფლა არასრულწლოვანი სარა, ხოლო მამას ბრალად წაუყენეს ნარკოტიკების კონტრაბანდა. თუმცა გალაბინმა განაცხადა, რომ სპორტული ჩანთები მან ბრაზილიაში იყიდა და წარმოდგენა არა აქვს, თუ როგორ მოხვდა იქ კოკაინი. 2011 წლის დეკემბერში გულგარეთის ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველომ კი გაავრცელა ცნობა, რომ ბოევსკის კოკაინი გადაჰქონდა გულგარეთის „შავ ბაზარზე“ გასაყიდად, რისთვისაც მისთვის დიდი ფული უნდა გადაეხადათ.

ბოევსკიმ 2000 წელს გაიმარჯვა სიდნეის ოლიმპიადაზე, თუმცა 2004 წელს მას აუკრძალეს პროფესიულ დონეზე გამოსვლა, რადგან დოპინგზე გამოიჭირეს.

ბრაზილიაში, ქალაქ გუარულიუსში ამ დღეებში დაწყებული სასამართლო პროცესი პრესისთვის დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. 37 წლის ბოევსკი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. მის ადვოკატს კი მიაჩნია, რომ შტანგისტს გაამართლებენ.

ფეხებმა წარმოაჩინეს

ეს კონკურსი პორტუგალიის უდიდესმა გაზეთმა Record მოაწყო, მარტის შედეგების მიხედვით ფინალში ტიტულის მოსაპოვებლად ექვსი ქალიშვილი ებრძოდა ერთმანეთს. კონკურსში გაიმარჯვა ულამაზესმა მარია ჟოაო დომინგესმა – ერთ-ერთი ადგილობრივი უნივერსიტეტის კომუნიკაციათა მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტმა. ის თურმე თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს სპორტს უთმობს, თამაშობს ფრენგბურთსაც. ის მეორედ გახდა ამ კონკურსის ფინალისტი. „ეს ჩემთვის ფოტოსესიაზე მეტი იყო, – წერს გაზეთი მარიას ნათქვამზე, ის კი მონაწილეობდა ეროტიკულ გადალებებში კონკურსის ჩარჩოებში, – ვინც მე მიღებდა, დიდ ყურადღებას ჩემს ფეხებს აქცევდა“.

ქალიშვილი თავის დიდ გატაცებად ასახელებს „პორტუს“, ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთის გუნდს. ხოლო „დრაკონებიდან“ გამოარჩევს კოლუმბიელ ნახევარმცველს ჯეიმს როდრიგესს.

◎ ვარაუდი

სააკაშვილს ძალიან გაუმართლა, რომ საქართველოს ნავთობი და გაზი არა აქვს

როდესაც ბატონ პრეზიდენტს სურს გაამართლოს საქართველოში არსებული მაღალი ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, მიზეზად ყოველთვის მოჰყავს ის ფაქტი, რომ საქართველოს არ გააჩნია ნავთობი და გაზი... ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს და ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გაქცეულ მოქალაქეთა მოქმედებას ამართლებს იმით, რომ ქვეყანას არ აქვს ნავთობი და გაზი...

როგორც მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ანალიზი და უცხოური პრესის მიერ მოყვანილი ფაქტები გვიჩვენებენ, ბატონ მიხეილ სააკაშვილს ძალიან გაუმართლა, რადგან... საქართველოს არა აქვს ნავთობი და გაზი.

საქართველოს ნავთობი და გაზი რომ ჰქონოდა, ბატონ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობისას მოვლენები ზუსტად ისე განვითარდებოდა, როგორც განვითარდა მეზობელ არაბულ ქვეყნებში: ჩვენს ქვეყანაში არსებულ ნავთობსა და გაზს ბატონი მიხეილის ხელისუფლება მთლიანად მიჰყიდდა ევროპას. ენერგოშემცველების რეალიზაციის შედეგად მილებული ვალუტა განთავსდებოდა ბატონ მიხეილ სააკაშვილის პირად ანგარიშზე. როდესაც ალნიშნული ფულადი თანხა მიალწევდა მნიშვნელოვან ოდენობას (100-200 მილიარდს), ევროპის სახელმწიფოები საქართველოს პრეზიდენტს ჩვენს ქვეყანაში მოუწყობდნენ შეიარაღებულ ამბოხებას, რასაც მოჰყვებოდა ადამიანთა მსხვერპლი, მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა, ასეთ შემთხვევაში, საკმარისი საბაბი იქნებოდა იმისათვის, რომ ევროპელ სახელმწიფოებს მოეთხოვათ ბატონი სააკაშვილის გადადგომა და სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ უარი მის სახელზე რიცხულ ფულად სახსრებზე. ბატონი პრეზიდენტი აუცილებლად დათანხმდებოდა შემოთავაზებულ პირობას, რადგან მას კარგად ეცოდინებოდა, რომ ყოველთვის მოქმედებენ ცნობილი რუსული გამოთქმით – „ჩუჟოი, სვოი ნა დაროგე ნე სტოი“. ჰუსეინისა და კადაფის ბედიც აიძულებდა ბატონ პრეზიდენტს ემოქმედა „ევროპული სტანდარტების“ შესაბამისად.

დღეს ბატონ პრეზიდენტს მსოფლიო ბანკში, პირად ანგარიშზე, აქვს თუ არა ფულადი სახსრები, ჩვენ არ გვაინტერესებს, რადგან მათი ოდენობა „მინიმალური“ იქნება. უნდა ვიცოდეთ, რომ დაფინანსებას სჭირდებათ ლობისტურ ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკის თანამშრომლებს, რომლებმაც გამოუშვეს წიგნი საქართველოში გატარებულ „გასაცარ“ რეფორმებზე და სხვა სახის ხარჯებს.

დასკვნის სახით ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ, რადგან საქართველოს არა აქვს, ნავთობი და გაზი, მოგებულია ბატონი პრეზიდენტიც და ჩვენც, რიგითები – ავიცილეთ „ევროპული სტანდარტებით“ მოწყობილი სამოქალაქო ომი და მსხვერპლი!

ნუგზარ კობახიძე

◎ წკეპლიკა

ავოიაჟება ნაცურად

მაგალითი მარტო ცუდი როდია გადამდები, ზოგჯერ – კარგიც. თქვენც მონიშნავდით, ალბათ (მოდურ სიტყვას თუ მივმართავთ, დააფიქსირებდით) ბოლო ხანს, უთუოდ გაპიარებულ-გავოიაჟებული პრეზიდენტის წაბაძვით, პარლამენტის თავმჯდომარეც აპიარდა და ავოიაჟდა.

აგერ, „გუშლამაც“ (პირველ მარტს) თიანეთში აურბენია თუ ჩაურბენია ხალხოსნური მისიით. შესაბამისი ტელესიუჟეტიდან ორი მომენტი მომხვდა თვალში. პირველი ისა, რომ ერთ, სოციალურად დაუცველ ოჯახში მისულმა, კუთვნილი ოცლარიანი ელვაუჩერი დასტოვა თურმე საჩუქრად (ქვეყნის მეორე პირი, – უმაღლესი და უგრძესი პირველი პირის შემდეგ – ასეთ იაფ სიქველეს აპიარებს? ვაი, სირცხვილო!..); მეორე – იქვე, იმავე კადრში, ერთი თიანელი ქალბატონის ღაღადისი: აქ, თიანეთში, მხოლოდ გაზი გვაკლია, თორემ სხვაფრივ აყვავებულნი(!!) ვართო. დიახ, სწორედ ასე დააყრანტალა – აყვავებულნიო, იქაური ყვავების გასაოცრად...

არ მიკვირს აქამდე პასიური და უფერულ-უსახური სპიკერის გააქტიურება (აფსუს, რა გმირულ სახელ-გვარს – დავით ბაქრაძეს – აფერმკრთალებს!..): საპარლამენტო არჩევნების წელია და ნახავთ აგერ, ნაცთა ავოიაჟება რა მასობრივი გახდება: ოქტომბრამდე თუ ჩვენს მხარეს ჩამოიცვლით, თქვენც შეამჩნევთ გამოფენილთ მინდორ-ველად (ნაცებს! – ეს ცხონებული მარიკა ბარათაშვილის ცნობილი „საპოვნელა“ გამახსენდა...).

მაშ, ასე, ქვეყნის მეორე პირიც ვიხილეთ „ხელად“ გაჭრილი; ახლა მესამე პირის, პრემიერ-მინისტრის რიგია (იმედია, პირადი ელვაუჩერი „გასასაღებელი“ დარჩა...). ხსენებაზე, უჩემოდაც გექნებათ შემჩნეული ასეთი განსხვავებაც დიდ რუსეთსა და პატარა საქართველოს შორის: იქ პრემიერს უზის ჯიბეში (თუ მუჭში) პრეზიდენტი, აქ – პირიქით...

ბერდია ბედოიძე

არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება) საქმე № 3-2012

თქვენ, **შპს „ინვესტი ჯგუფი 2007“-ის დირექტორს ირაკლი ერაძეს ს/ნ 54001001857, თბილისი, აწყურის 4ა, ბინა №4,** გიგარეგთ მოპასუხის სახით **საარბიტრაჟო სხდომაზე 2012 წლის 19 მარტს, 15.00 საათზე,** საქმეზე **შპს „ჯორჯიან მაინინგ+“-ის** საარბიტრაჟო სარჩელის გამო **შპს „ინვესტი ჯგუფი 2007“-ის** მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36.**

გამოუცხადებლობის შედეგები

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

ნოდარ ემუხვარი, ჯემალ, გია, გიორგი შერვაშიძეები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მეგობარს, ცნობილ ექიმსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ნაპო მესხიას მეუღლის

ნანული ბასარია-მესხიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები – ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ცნობილ დასტაქარს, ღირსეულ მამულიშვილს, გაზეთის მეგობარსა და ავტორს ბატონ ნაპო მესხიას მეუღლის

ნანული ბასარია-მესხიას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ცისანა ესებუა, ლამარა შავდია, ლამარა მექვაბიშვილი, ნუნუკო საყვარელიძე, მზია მირზაშვილი, მადონა მგელაძე, ლია მიქაძე, ლილი აბულაძე, ოლიკო ჭყონია, დოდო ვაშაძე, ნანა კარტოზია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსიკო ჟორჟოლიანი-ყავლაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანა კარტოზია, ნუცა წულაძე, თემურ დიასამიძე, სანდრო კაკაბაძე, ნიაზ, ჯაბა დიასამიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსიკო ჟორჟოლიანი-ყავლაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლელა გაბრიჩიძე, კახა ბაკურაძე, კახა კვიციანი, ზაზა ქათამაძე, დათო ბენიძე, გია ქათამაძე, მელორ, მერაბ ტყეშელაშვილები, ფრიდონ ინჯია, ლალი კვარაცხელია, ვანო ზოდელავა, დემურ გადელია, მუხრან ბაგრატიონი, ზაზა მაზმიშვილი, გოჩა ყანჩაველი, რეზო ხვედელიძე, ტარიელ რაზმაძე, გურამ ახალაია, გია მიქელაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო მეზობლისა და მეგობრის ავთანდილ იაშვილის დედის

ირინა იაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 13 III, 14 სთ. ვანის რაიონი, სოფელი გორა.

ხსოვნა

პროფესორი ალექსი ხოჭავა

პროფესორი ალექსი ხოჭავა დაიბადა საქართველოში 1927 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს. განაწილებით მოხვდა გელორუსიაში, სადაც მუშაობდა რამდენიმე წელიწადი. 1951 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე ასპირანტად, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა გააგრძელა მინსკის სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე. იგი 1957 წლიდან საკავშირო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით მივლინებული იყო რუსეთში, ქ. ჩიტაში სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის დასაარსებლად.

1964 წლიდან პროფესორი ალექსი ხოჭავა მოღვაწეობას აგრძელებს გელორუსიაში, ქ. გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ასევე დააარსა ინფექციურ სნეულებათა კათედრა და გაზარდა ინფექციონისტების არაერთი თაობა. 1970 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო პროფესორის წოდება.

1978 წელს დაბრუნდა საქართველოში და რეორგანიზაცია მოახდინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე. წლების განმავლობაში იგი იყო უნივერსიტეტის პროორექტორი სამკურნალო დარგში.

ალექსი ხოჭავამ მოამზადა არაერთი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 25 მეტი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ავტორია წიგნი-სახელმძღვანელოსი „გავშვთა ინფექტოლოგია“.

იგი არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიკოგიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი და დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მას, როგორც პედაგოგს, აღზრდილი ჰყავს საქართველოში ინფექციონისტების არაერთი თაობები. მისი წიგნი იქცა სამაგიდო წიგნად მომავალი, დამწყები თუ გამოცდილი ექიმებისათვის.

ბატონი ალექსი იყო გულისხმიერი მკურნალი პაციენტებისათვის, ნუგეში მათი მშობლებისათვის. ქმიუხედავად თავისი ასაკისა, იგი ფეხდაფეხ მისდევდა თანამედროვე მედიცინის სიახლეებს და მის გვერდით მყოფი კოლეგებისათვის იყო მისაბაძი მაგალითი, თუ როგორ უნდა აზროვნებდეს თანამედროვე მედიკოსი.

გამოვთქვამთ ჩვენს დიდ მწუხარებასა და გულისტკივილს ბატონი ალექსის გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

თსსუ-ს ბავშვთა ინფექციურ სნეულებათა კათედრა,
თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო

შვილები კაკო, ავთანდილი, ტარიელი, რძლები ქეთინო, მარინა, მანანა, შვილიშვილები ლადო, დემნა, ირინა, შოთა, სოფიკო იაშვილები თავიანთი ოჯახებით, შვილთაშვილები გიორგი იაშვილი, დავით ხაჯალია, ქეთევან, ვერიკო, აკაკი, ლიზი, ალექსანდრე იაშვილები, ალექსანდრე, დავით გოგოლაძეები იუწყებიან

ირა აქირდავა-იაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 III, 17 სთ. გამოსვენება 13 III, 14 სთ. მისამართი: ვანი, სოფ. გორა.

შპს „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ კომპანიის გენერალურ დირექტორს ბატონ ავთანდილ იაშვილს და უფროს მენეჯერს ბატონ ტარიელ იაშვილს დედის ქალბატონ

ირა აქირდავა-იაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ფრიდონ ინჯიას ოჯახის წევრები – ქეთინო რუხაია, ილია ინჯია, ნინო ჩიქოვანი, კახა კოტრიკაძე, ხათუნა ინჯია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ავთანდილ, კაკო და ტარიელ იაშვილების დედის

ირა ალექსანდრეს ასულ იაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ფრიდონ ინჯია, კოტე სამუშია, თეიმურაზ ღოღობერიძე, ილია ინჯია, თეიმურაზ ბერიშვილი, დემურ ინჯია, ვახტანგ თოდუა დავით ინჯია, თორნიკე აფაქიძე, ლევან ინჯია, ზაზა ბურჯანაძე, ნუგზარ კვიკვინია, ზურაბ ზუმბაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ავთანდილ, კაკო და ტარიელ იაშვილების დედის

ირა ალექსანდრეს ასულ იაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს. პანაშვიდი 11, 12 III, 17 სთ. გამოსვენება 13 III, 14 სთ. მისამართი: ვანი, სოფ. ზედაგორა.

შპს „სისტემ ნეტის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ავთანდილ, კაკო და ტარიელ იაშვილებს დედის

ირა ალექსანდრეს ასულ იაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

დაიჯესტი

ტერმიტების შურისგება



ცენტრალურ აფრიკაში გათხრების დროს პალეონტოლოგებმა ცოტა ხნის წინათ ტერმიტის გაქვავებული ფრთა ნახეს, რომლის ასაკია... 200 მილიონი წელი!

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე მხოლოდ ტერმიტების ნარჩენებს იურული ერის მეზოზოურ პერიოდში და არა პერმულის გვიანდელ პალეოზოურში ნახულობენ, ამ ნაპოვნის ასაკს მეცნიერები დიდად არ გაუკვირვებია. საქმე ისაა, რომ მწერების ეს ჯგუფი დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესია, ხოლო მისი სიცოცხლისუნარიანობა იმითაა განპირობებული, რომ „ჯარისკაც“-ტერმიტებს მძლავრი ყბები აქვთ, რომლებითაც ნებისმიერი სახეობის საკვებს ხრავენ. ტერმიტებს არც გვალვა, არც შიმშილი, არც სნეულებები არ აშინებთ, ეს უშიშარი მწერები ყველაფერს ჭამენ და არანაირი დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევენ, რასაც თუნდაც ბოლო წლების მანძილზე შეგროვილი ფაქტები მოწმობს.

შრი ლანკას ერთ-ერთ ციხეში ამ მწერებმა გამოუმწვარი აგურის ერთი მეტრის სისქის კედელი იმდენად გამოხრეს, რომ პატიმართა დიდმა ჯგუფმა იგი შიშველი ხელით გაანგრია და გაიქცა;

ავსტრალიაში ტერმიტებმა სარდაფის... ტყვიის (!ძ კედელი გამოხრეს, სადაც კასრებში შვიდი ათასი ლიტრი ლუდი იყო. ყოჩაღმა „ჯარისკაცებმა“, რომლებმაც ლუდის თითქმის მთელი მარაგი „მიიღეს“, შემდეგ გზა მეზობელი სასტუმროს საბილიარდოში გაიკვალეს, სადაც მთელი ხის მასალა საცერად აქციეს, რასაც გილიარდის გურთებიც „დააყოლეს“;

ყველაზე დრამატული ამბავი კი ეგვიპტეში მოხდა. ქალაქ გეჰერის მახლობლად გლეხმა ძველი სასაფლაოს ნაწილი გათხარა, რასაც ტერმიტების გუდის ნაწილიც მიაყოლა. შურის საძიებლად მილიონობით მწერი ქალაქისკენ გაემართა... პანიკაში ჩავარდნილმა მოსახლეობამ ქალაქი დატოვა და ეს ნამდვილად ჭკვიანური ნაბიჯი იყო – ცოტა ხანში ტერმიტებმა ყველა ნაგებობა... შეჭამეს!

კუდში დამალული ქარიშხალი

ისტორიაში არაერთი შემთხვევაა აღწერილი, როცა კატები მიწისძვრისა ან ვულკანის ამოფრქვევის წინ ქალაქებს ტოვებდნენ, ხოლო როცა საფრთხე ჩაივლიდა, კუდიან-ზოლიანები უკან ბრუნდებოდნენ. სეისმურად აქტიური ზონების მცხოვრებლებმა კარგად იციან, რომ სტიქიის შემოტევის წინ კატები აღგზნებულნი არიან: ისინი სრულიად უმიზეზოდ ხმამაღლა კნავიან, დამალვას ცდილობენ, სახლიდან გასვლას ითხოვენ, ზოგჯერ კი... შეშდებიან.



მეზღვაურები კატებს დიდ პატივს სცემენ. ამბობენ, რომ ხვადები მშვენივრად გრძნობენ ქარიშხლის მოახლოებას და თავიანთი ძცევით ხომალდის წევრებსაც აფრთხილებენ.

მათ სჯერათ, რომ კატებს არა მარტო მოახლოებული საფრთხის შესახებ გაფრთხილება, არამედ ქარიშხლების... განდევნაც შეუძლიათ, თუკი ხომალდის წევრები მას კარგად ეპყრობიან. ცნობილია გემების მაშინვე დალუპვის შემთხვევები, როგორც კი კატა ზღვაში მოუსვრიათ! იაპონელი მეზღვაურები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ კუსეგრი შეფერილობისა და თეთრ კატებს და სწამთ, რომ მათ სტიქიის დამშვიდების უნარი შესწევთ. შვედ მეზღვაურებს კი ნაოსნობაში მხოლოდ კნუტი ან იმავე გემზე გაზრდილი კატა მიჰყავთ. ლეგენდით, სხვის კატებს თან ცუდი ამინდი მოაქვთ, რადგან ქარიშხლები მათ კუდებში იმალებიან.

ზღაპრები და სინამდვილე

სამმა იტალიელმა მონადირემ მთებში მელიის კვალს მიაგნო. ცხოველი მათ ერთდროულად დაინახეს და თითქმის ერთდროულადვე ესროლეს. მელაკუდა მოცელილივით დაეცა. მონადირეებმა მელია ავტომანქანის საბარგულში ჩადეს, ხოლო როცა სახლში მივიდნენ და საბარგული გახსნეს, გრძელკუდა „ნანადირევი“ ამოხტა, ღობეს გადაევლო და იქვე ბუჩქებში გაუჩინარდა.

დღემდე გაუგებარია, რა მოხდა ნადირობისას: გასროლების ხმის გამო მელიას დამბლა დაეცა, თუ მან თავი „მოიმკვდარუნა“, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა – მონადირეებს ნადავლი თავხელურად „დაეთესათ“.

მოკლედ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე. საგულისხმოა, რომ ზღაპრები, რომლებშიც მელა თავს „იმკვდარუნებს“ ხოლმე, მსოფლიოს მრავალ ერს აქვს.

სიყვარული მართლაც ბრმა ყოფილა...



ბარსელონის გენური რეგულაციის ცენტრის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შეყვარებულები მართლაც კარგავენ ერთმანეთის ნაკლის დანახვის უნარს, სამაგიეროდ დაუსაბუთებლად აზვიადებენ მათ ღირსებებს.

– კურიოზი ისაა, რომ რომანტიკული სიყვარული ვნებასა და ლტოლვაზე პასუხისმგებელ თავის ტვინის უბნებს ააქტიურებს, – ამბობს ნეირობიოლოგი მარა დირსენი. – ამავე დროს პარალელურად გამოირთვება თავის ტვინის ის უბნები, რომლებიც ადამიანთა მოქცევის შემფასებელია.

სწორედ თავის ტვინის დისბალანსი ჰქმნის ჭეშმარიტ სიყვარულს. ძლიერი გრძნობა ქიმიურ რეაქციათა ჯაჭვს იწვევს, რომელთა დროს დოპამინისა და სეროტონინის მსგავსი ნივთიერებები გამოიყოფა, რომელთაგან პირველები მიმზიდველობაზე, მეორეები კი დაუოკებელ ლტოლვაზეა პასუხისმგებელი.

ინფორმაცია

კანადაში დაკარგულ მარიამ მახნიაშვილთან დაკავშირებით ახალი ინფორმაციები ვრცელდება

კანადის ქალაქ ტორონტოში ადამიანის ცხედრის ნაწილები იპოვეს, რომელიც შესაძლოა, მარიამ მახნიაშვილი იყოს. თუმცა, როგორც ქართული ტელეკომპანიები იუწყებიან, ამ დრომდე დადასტურებული არ არის, ეკუთვნის თუ არა ტორონტოს ჩრდილოეთ ნაწილში ნაპოვნი ცხედრის ნაწილები მარიამ მახნიაშვილს.

პოლიცია დაკარგული ქართველის ოჯახს უკვე დაუკავშირდა. მარიამ მახნიაშვილის დედა სამედიცინო ექსპერტიზის პასუხებს ელოდება. ექსპერტიზის დასკვნამდე კი, კომენტარს არ აკეთებენ არც დაკარგულის დედა და არც – სამართალდამცველები.

ცხედრის ნაწილებს ტორონტოს სასამართლო სამედიცინო ცენტრში ექსპერტიზა უტარდება. გამოძიებას შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ტანსაცმელიც აქვს. გარდაცვლილის იდენტიფიცირება დნმ-ის ანალიზით მოხდება. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსხვერპლი მდედრობითი სქესის არის.

წინასწარი ინფორმაციით, იდენტიფიცირებას ერთი კვირა დასჭირდება. კანადური არხების ცნობით, მარიამ მახნიაშვილის დედამ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ტანსაცმლის ნახვის სურვილი გამოთქვა, თუმცა ჩატარდა თუ არა ამოცნობის პროცედურა, ჯერ უცნობია.

17 წლის ქართველი მარიამ მახნიაშვილი 2009 წლის 14 სექტემბერს ტორონტოს ფორესტ-ჰილის კოლეჯის ტერიტორიიდან დაიკარგა. მას 2 წელიწად-ნახევარია, ეძებენ.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

ანეკდოტები

საქართველოში ჩადენილი ნებისმიერი ეკონომიკური დანაშაული იმდენად დანაშაულებრივი ხასიათისა არ არის, რამდენადაც პატრიოტული, რადგანაც იგი საქართველოში საერთოდ თუნდაც რამენაირი ეკონომიკის არსებობას მაინც მიანიშნებს...

* * *

პარლამენტარი აკაკი ბობოხიძე საბავშვო ბაღს ეწვია. როგორც მან შემდგომ პროკურატურაში განაცხადა, ჩხუბი ბავშვებმა წამოიწყეს...

* * *

– **რამდენი** წლისა ხართ?

– ოცდაორისა.

– ბევრად მეტის შესახედაობა გაქვთ.

– **აბა, ბოლო ოცი** წლის ცხოვრებას ცხოვრება ეთქმის?!

* * *

– **პიანინოს** თქვენ ყიდით?

– დიახ, მხოლოდ ერთი პირობით.

– რა პირობით?

– ისე უნდა გაიტანოთ, რომ ეს ჩემმა ცოლმა და ქალიშვილმა არ შეამჩნიონ.

* * *

ძმარი – ეს არის ადამიანი, რომელიც თავის ცოლს ეხმარება იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მას არც შეექმნებოდა, რომ არ გათხოვილიყო.

* * *

– **თუ** ორ სეხნია ლამაზ გოგოს შუაში ჩაუდგები, შეგეძლება ოცნების ჩაფიქრება.

– თუ მათ შუაში ჩავუწვები?

– მაშინ ეს ოცნება აგხდომია და ის არის.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24